საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 8 ნოემბერი, 2014 წელი.

№228 (7609)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ცხრა წელიწადი იყავით, ნაცებო, ქვეყნის ნგრევაში, ახლა რევანში მოგინდათ? არ გამოგივათ რევანში!

ბაგრატ ბადიდი,
აკაკი წერეთლისა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატი

დავით თევზაძე:
ალასანიას კოზირი ჰქონდა, მაგრამ ეს რაუნდი წააგო



③

7 ნოემბერი არის თარიღი, რომელსაც ხალხი ნაციონალურ მოძრაობას არასოდეს აპატიებს

②

⑤

ქალთა თუ ზოგადად, ადამიანის უფლებები?

ვისი მიწაა თრუსოს ხეობა და რა სურთ სეპარატისტებს?

④

◎ დღის ამოკრეზურიდან

რამ გააცარა ქეთევან (ქეთუსია) იგნატოვა?

Weekend 24 საათი

საშემოდგომო გადაბარებულია

—ქართულ პოლიტიკაში... ყველაფერი აირდაირია და თან საკმაოდ საინტერესოდ, სახალისოდ, იმედის მომცემად. გასული ორი წლის დამთრგუნველი, უიმედო შიდაპოლიტიკური სტაგნაცია დაირღვა. ასეთი არასიმპატიურ-არამომხიბვლელი და ხშირ შემთხვევაში სამარცხვინო ერთპიროვნული, მონურ-მაამებლურ-მორჩილი მმართველობა გაირღვა. ფარა გაიფანტა. მწყემსი და მისი მოსწავლე, დამხმარე ხელისბიჭი გაქცეულებს ვეღარ დააბრუნებენ.

საქართველოში სრულიად მოსალოდნელი, ლოგიკური და ნანატრი შიდა პოლიტიკური პროცესი დაიწყო...

„იუქენდი“ (7-13 ნოემბერი,№ 1)

ქართველ მოქალაქეს საქართველოში არეულ-დარეულობა და ნანატრი შიდა პოლიტიკური პროცესი რომ ახარებს და ამჟამინდელი მდგომარეობა სახალისოდ და იმედის მომცემად ეჩვენება, როგორ მოგწონთ, დანარჩენო მოქალაქენო, ნაციონალთა ამ ძველი აგიტატორ-პროპაგანდისტის ეს იმედიანობა? მაინც რისი იმედი აქვს იგნატოვას ქალს? ნაციონალების ავად სახსენებელ ხელისუფლებაში ყოფილი კულტურის მინისტრის მოადგილე ახლა იქნებ უკვე კულტურის მინისტრობაზე ოცნებობს?

იოცნებეთ, იოცნებეთ, ნაციონალურო ფერიავ, ხომ ხედავთ, დღეს ანტისახელმწიფოებრივ ოცნებას კი არა, ამჟამინდელი ხელისუფლების დამხობის იმედის გამოხატვასაც კი არავინ არ გიშლით!

ისე, უნდა იცოდეთ, რომ უსაზღვრო და ამაოა თქვენი მოლოდინი. რაც არ უნდა მოხდეს, საქართველო უკან აღარ მიბრუნდება, თქვენ, თქვენდა საუბედუროდ, თქვენივე წარსულის თქვენგანვე დახლართულ აბლაბუდაში ხართ გახლართული, თქვენი ფიქრი თქვენთვის სასურველ მომავალზე იმავე თქვენსავე წარსულზე, თქვენსავე გუშინდელ დღეზე ფიქრია, რასაც ახდომა არამც და არამც არ უწერია.

ასე რომ, რაც არ უნდა აირიოს და აიმღვრეს ჩვენი ცხოვრების მდინარე, თქვენი დასაჭერი თევზები იქ უკვე აღარ არიან. დღეს ამ მდინარეზე სულ სხვა ადამიანები თევზაობენ, რომელთაც, თქვენგან განსხვავებით, ხალხისთვის არა მარტო თევზის ჭერა, არამედ თვითონ თევზის ჭერის სწავლებაც აქვთ გადაწყვეტილი... ამის დრო კი ჯერ კიდევ არის, წინ მთელი ორი წელიწადია.

ასე თუ ისე, თქვენ, მგონი, წიგნიერი ქალი ბრძანდებით და, უნდა იცოდეთ, რომ პოლიტიკურად თუ ადამიანურად საბოლოოდ გაკოტრებული „მიშას ლოდინი“ იგივე „გოდოს ლოდინია“.

ალბათ, უთუოდ გეხსომებათ ბეკეტი?!.

გურამ წიკლაური

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

7 ნოემბერი არის თარიღი, რომელსაც ხალხი ნაციონალურ მოძრაობას არასოდეს აპატიებს

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინ მთავრობის სხდომის დაწყებამდე განაცხადა.

პრემიერის თქმით, 2007 წლის 7 ნოემბერი სახელმწიფოს უახლესი ისტორიის სისხლიანი თარიღია.

„მაშინდელმა ხელისუფლებამ უმძიმესი დანაშაული ჩაიდინა საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინაშე – სასტიკად დაარბია მშვიდობიანი მომიტინგეები, საკუთარი მოქალაქეები, ფეხქვეშ გათელა მათი პიროვნული ღირსება და დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპები. მინდა, გავიხსენო 7 ნოემბერს დამოუკიდებელ ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრა. ეს იყო თავისუფალი სიტყვის ჩახშობა ძალადობრივი გზით და რეჟიმის გამოხატულება. მაშინ და შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა დაგვანახვა, რომ ჩვენი საზოგადოება, თავისუფლების მოყვარული ხალხი ღირსების შელახვას არასოდეს შეეგუება“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

◎ საზოგადოებრივი მოძრაობა

„ლაზარე“ – ყოველივე ეროვნულის დასაცავად

საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარე“ მას შემდეგ დააფუძნა თანამედროვეობის დიდმა პოეტმა, ბატონმა რეზო ამაშუკელმა, რაც, ყველასთვის მოულოდნელად, ბიძინა ივანიშვილმა ქართულ პოლიტიკაში შემოაბიჯა და ეს დაფუძნება საპატრიარქოში გაიმართა, სადაც მისმა უწმინდესობამ დაგვლოცა და წარმატებები გვისურვა.



დამფუძნებელთა სიას სათავეში დიდი მერაბ ბერძენიშვილი უდგას. მის დანარჩენ წევრებს არ ჩამოვთვლი და მხოლოდ გარდაცვლილებს მივაგებ პატივს: გიგა ლორთქიფანიძე, ჯემალ აჯიაშვილი, ოთარ მეღვინეთუხუცესი და ჭაბუა ამირეჯიბი...

შემდეგ, მალევე, თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის გადაჭედილ დარბაზში „ლაზარეს“ პირველი ფართო შეკრება გაიმართა. შემდეგ, 2013 წლის 19 მარტს – რუსთაველის თეატრის ასევე გადაჭედილი დარბაზი...

ერთი სიტყვით, „ლაზარემ“ იმთავითვე უპირობო მხარდაჭერა გამოუცხადა ბიძინა ივანიშვილის „ქართულ ოცნებას“, ხოლო მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ იმ ჭირის წინააღმდეგ გააგრძელა უკომპრომისო ბრძოლა, რასაც ნაცბანდა ჰქვია. მოკლედ, მხატვრულად თუ ვიტყვით, საქართველოს მაჯისცემაზე უდევს ხელი „ლაზარეს“...

„ ქართული ოცნების“ მიმართ ზემოთ ხსენებული მხარდაჭერა, ამ კოალიციის რესპუბლიკური შემადგენელის გამო, მთლად უპირობო არ იყო – ემანდ ვინმეს თავი არ აეგდო და ანტიქართული, ანტიმართლმადიდებლური ნაბიჯები არ გადაედგა.

ა.წ. 6 ნოემბერს „ლაზარეს“ ბოლო შეკრება რუსთაველის თეატრის დარბაზში სწორედ იმიტომ გაიმართა, რომ ბოლო დროს განვითარებულმა თუ მოსალოდნელმა (თავხედი ნაცების მიერ 15 ნოემბერს დაანონსებული აქცია) მოვლენებმა ცხადი გახადა, რომ შინ (ირაკლი ალასანიას დემარში) თუ გარეთ (აშშ-ევროპის ლიბერალური სახელისუფლებო წრეების რეაქციები), ყველანი პრემიერ ღარიბაშვილის წინააღმდეგ აიჯაგრნენ, რაც, საზოგადოების უმრავლესობამ „ქართული ოცნების“ ეროვნულ შემადგენელზე შეტევად აღიქვა!

„რუსთაველში“ შეკრებილმა საზოგადოებამ, იმის მიუხედავად, რომ ირაკლი ღარიბაშვილის მიმართ გარკვეული საყვედურებიც შეიძლება ითქვას, სწორედ ამ საფრთხის გამო გამოუცხადა მხარდაჭერა საქართველოს პრემიერ-მინისტრს და შესაბამისი რეზოლუციაც მიიღო!

სხვა დანარჩენზე და უფრო დაწვრილებით, გაზეთის შემდეგ ნომერში მოგახსენებთ, როგორც ამ შეკრების მონაწილე და „ლაზარეს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი...

დავით მხეიძე

◎ შეხვედრები

საქართველოს პრეზიდენტი რიჩარდ ნორლანდს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში რიჩარდ ნორლანდს შეხვდა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, შეხვედრაზე საუბრის მთავარი თემა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები და ქვეყნის ევროატლანტიკური კურსი იყო.

ირაკლი ალასანია: ივანიშვილთან ბევრ საკითხზე ვისაუბრე, მაგრამ ეს ჩვენს შორის დარჩება

საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრ ირაკლი ალასანიას ინფორმაციით, გუშინ საღამოს მასსა და ბიძინა ივანიშვილს შორის შეხვედრა ორმხრივი შეთანხმებით შედგა.

როგორც ალასანიამ ჟურნალისტებს განუცხადა, მათ გაცვალეს ხედვები ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

„ჩვენ გავცვალეთ ხედვები იმ პოლიტიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელიც ქვეყანაშია შექმნილი. ძალიან გულწრფელი საუბარი იყო. ერთი თანხმობა შედგა, რომ ჩვენ ყველა პოლიტიკური პროცესი უნდა წავიყვანოთ ისე, რომ არ დაზიანდეს სახელმწიფო. ეს იყო ძირითადად ჩვენი საუბრის შინაარსი. ბევრ საკითხზე ვისაუბრეთ, მაგრამ ეს, ბუნებრივია, ჩვენს შორის დარჩება“, – აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.

თავდაცვის ყოფილი მინისტრი საკანონმდებლო ორგანოში ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ წევრებს შეხვდა. მისი ინფორმაციით, მან გუნდს ივანიშვილთან საუბრის ზოგადი შინაარსი გააცნო.

სახელმწიფოებრივი ინტერესები უმრავლესობისთვის და ჩვენთვისაც ამოსავალი წერტილი იქნება

საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ალასანია პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს შეხვდა. შეხვედრა საკანონმდებლო ორგანოში გაიმართა.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ ირაკლი ალასანიამ ჟურნალისტებს განუცხადა, მან პარლამენტის თავმჯდომარეს ახალი მინისტრისთვის ფუნქციების გადაბარების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. მისივე თქმით, საუბარი ასევე ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენებსაც შეეხო.

„ვისაუბრეთ იმ თემებზე, რომლებიც როგორც მინისტრს და პარლამენტის თავმჯდომარეს რამდენიმე დღის წინათ გვქონდა განხილული. რაც შეეხება თავდაცვის სამინისტროსა და პარლამენტის ურთიერთობებს, დავით უსუფაშვილს გარკვეული ინფორმაცია მივაწოდე, როგორ მოხდა ახალ მინისტრზე ფუნქციებისა და მოვალეობების გადაბარება. ბუნებრივია, ხედვები გავცვალეთ ბოლო დღეებში პოლიტიკაში კალეიდოსკოპური სისწრაფით განვითარებულ მოვლენებზე“, – აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.

მისივე თქმით, საუბარი ასევე შეეხო ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების„ უმრავლესობიდან გამოყოფის საკითხს. **„ვისაუბრეთ იმაზეც, რომ მთავარია ამ პროცესში მომავალში საპარლამენტო ცხოვრებაში პროცესები წარიმართოს ისე, რომ სახელმწიფო პირიქით გამყარდეს და არ დაზიანდეს. ანუ სახელმწიფოებრივი ინტერესები ყველა პოლიტიკური ძალისთვის, უმრავლესობისთვის და ჩვენთვისაც იქნება ამოსავალი წერტილი“,** – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

◎ პარლამენტარი

გედევან ფოფხაძე უმრავლესობაში დარჩა

პარლამენტარი გედევან ფოფხაძე უმრავლესობაში რჩება და ფრაქცია „თავისუფალ დემოკრატებს“ ტოვებს.

„მე მივიღე გადაწყვეტილება, – განაცხადა მან საგანგებო ბრიფინგზე, რომ დავრჩე უმრავლესობაში და დავტოვო ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატები“. ხაზგასმით ვაცხადებ, რომ „თავისუფალი დემოკრატები„ არიან ჩემი მეგობრები, კარგი და ღირსეული ადამიანები და მინდა, მათ წარმატებები ვუსურვო. მინდა წარმატება ვუსურვო ირაკლი ალასანიას, რომელიც არის საქართველოს პოლიტიკისთვის ძალიან ღირებული პიროვნება, თუმცა, ამის მიუხედავად მიმაჩნია, რომ ჩემი ადგილი არის უმრავლესობაში. ეს გადაწყვეტილება განპირობებულია ბევრი არგუმენტით, როგორც პიროვნული ხასიათის, ისე პოლიტიკურად მოტივირებული არგუმენტებით. მეორე მხარესაც ჩემი მეგობრები არიან და რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიმეღო, პიროვნულად მაინც ვიხლიჩებოდი...

მიმაჩნია, რომ სხვა შემთხვევაში უნდა მიმეღო ემოციური და დაუფიქრებელი გადაწყვეტილება, მაგრამ მე ის ემოციური განწყობა, რაც იყო „თავისუფალ დემოკრატებში“, არ გადმომედო და ვერ გავიზიარე. ჩავთვალე, რომ საჭირო იყო, უფრო მშვიდად და წყნარად მიმეღო გადაწყვეტილება. მგონია, რომ მე და ჩემი მეგობრები „თავისუფალი დემოკრატებიდან„ მხოლოდ ემოციურად უნდა დავშორდეთ ერთმანეთს და არა ღირებულებებით და შეხედულებებით. მე უნდა დავრჩე უმრავლესობაში, მგონია, რომ ეს ის შემთხვევაა, როდესაც ვინც ბრაზობს, ის არის მტყუანი, – განაცხადა გედევან ფოფხაძემ.

◎ ვითარება

საგანელიძის განცხადებებს ევროსასამართლო შეისწავლის?

ხელისუფლებას ახლა იმის მტკიცება მოუწევს, რამდენად მიუწვდებათ ხელი დავით საგანელიძეს და მის კოლეგებს თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების საქმეზე, რომელსაც გრიფი ადევს და ამ დრომდე დაცვის მხარეს არ იცნობს. დაკავებული მაღალჩინოსნების ადვოკატები პოლიტიკოსებს მათი დაცვის ქვეშ მყოფების მიმართ უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევაში ადანაშაულებენ და ყველა განცხადების შესწავლას გეგმავენ. რეაგირების მიზნით კი, აღნიშნულ განცხადებებს ევროსასამართლოს აცნობებენ.

ადვოკატი ლევან სამუშია საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერ დავით საგანელიძის განცხადებას გამოეხმაურა, რომელმაც აღნიშნა, რომ ამ სისხლის სამართლის საქმეს გაეცნო და დანაშაულის ნიშნებიც დაინახა.

„საგანელიძემ განაცხადა, რომ დეტალებში წაიკითხა საქმის მასალები, მან ლამის ფინანსური ხარჯთაღრიცხვა წარმოგვიდგინა. გასაკვირია, როდესაც მე, როგორც დაკავებულების ადვოკატი, ვცდილობ, კანონის შესაბამისად გადმოვეცეს საქმის მასალები, თურმე, პოლიტიკოსები საჯაროდ ეცნობიან ამ საქმეს. მათ წვდომა არა აქვთ საიდუმლო მასალებთან. თუ ეს ასე მოხდა, ჩადენილია სისხლის სამართლის დანაშაული, ვინაიდან პირს არა თუ მასალების გაცნობა და წარდგენა, თქმის უფლებაც კი არ აქვს ისეთი პირისთვის, ვისაც წვდომა არ აქვს საქმის მასალებთან“, – განაცხადა ლევან სამუშიამ.

როგორც ადვოკატი განმარტავს, მასალების გაცნობის უფლება არა აქვს არც პრემიერ-მინისტრს, რომელიც პროცესის მონაწილე არ არის.

„უნდა დაასაბუთონ, რა წვდომა და რა შეხება აქვს ხელისუფლებას ამ სისხლის სამართლის საქმესთან. ირღვევა დაცვის უფლება, პროკურატურა განზრახ არ გვაძლევს საქმის მასალებს, რომ სრულად ვერ განვახორციელოთ დაცვა. საგანელიძესა და სხვა პოლიტიკოსებს განზრახ აწვდიან დამახინჯებულ ინფორმაციას და შესაბამისად, ისინიც ავრცელებენ. არ მინდა, დავიჯერო, რომ განზრახ ავრცელებენ პოლიტიკოსები ცრუ ინფორმაციას“, – განაცხადა ლევან სამუშიამ.

ადვოკატი სოსო ბარათაშვილი მოუწოდებს ყველას, განსაკუთრებით ხელისუფლების და საგამოძიებო ორგანოების წარმომადგენლებს, თავი დაანებონ აღნიშნული საქმის კიდევ უფრო მეტად პოლიტიზებას და მოაქციონ საქმე სამართლებრივ ჩარჩოში.

„ძალიან მინდა, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ არ გაიმეოროს ის შეცდომები, რომლებსაც უშვებდა წინა ხელისუფლება, როდესაც, არაობიექტურად, არასამართლიანად ავრცელებდნენ ინფორმაციებს, რამაც მოლაშვილის საქმეზე ზეგავლენა მოახდინა“, – განაცხადა სოსო ბარათაშვილმა.

თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების საქმესთან დაკავშირებით მთავარ პროკურორთან შეხვედრას გეგმავს ადამიანის უფლებთა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია.

„ვაპირებ, პირადად შევხვდე მთავარ პროკურორს და ვესაუბრო ამ საქმესთან დაკავშირებით, რომ მეტი ინფორმაცია მქონდეს. ამავე დროს პროკურატურას უნდა ვაცადოთ საქმის გამოძიება. ვნახოთ, საბოლოოდ რა სურათი შეიქმნება. მართებულად არ მიმაჩნია, რომ ერთი ძალოვანი უწყების პირველი პირი კონფრონტაციაში შედის მეორე ძალოვან უწყებასთან, ეს ჩემთვის გაუგებარი და დაუშვებელია“, – აღნიშნა ეკა ბესელიამ.

„თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი ალექსი პეტრიაშვილი დარწმუნებულია, რომ დადგება დრო, როდესაც ხელისუფლება თავადვე მოისურვებს გარკვევას, რატომ ხდებოდა მიზანმიმართული შეტევა თავდაცვის უწყებაზე.

თამთა ქარჩავა

ალასანიას კოზირი ჰქონდა, მაგრამ ეს რაუნდი წააგო

ნომრის სტუმარია ყოფილი თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე

— ბატონო დავით, ჩვენ გვყავდა მაღალრეიტინგული თავდაცვის მინისტრი, რომელიც გადააყენეს. თქვენი შეფასებით, ჯარში თუ გვქონდა ისეთი წინსვლა, რომ მინისტრი ყოფილიყო აგრერიგად წარმატებული, სხვა მინისტრების ფონზე?

— რეიტინგი პიარის კატეგორიაა, მას სულ სხვა სინამდვილე განსაზღვრავს და პირდაპირი კავშირი რეიტინგსა და საქმიანობას შორის ხშირად არ არსებობს.

ისე ჩანდა, რომ თავდაცვის სამინისტროს საქმიანობის სივრცე გახსნილი იყო, თუმცა, რეალურად ეს ასე არ ყოფილა. მართვის თვალსაზრისით ცალკეულ რგოლებში მთლად კარგი სურათი არ იკვეთებოდა. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან ძალიან ბევრი მოუმზადებელი ადამიანი, არაპროფესიონალი შევიდა ერთბაშად ამ სტრუქტურაში.

— ალასანიას მინისტრობის დროს თუ უფრო ადრე?

— ალასანიამდე დაიწყო პროცესი, მაგრამ მის დროსაც გაგრძელდა. ის კადრებს ვერ შეცვლიდა, რადგან მოჯადოებულ სივრცეში აღმოჩნდა. მან არ იცოდა, ვინ უნდა შეეცვალა და ვისით შეეცვალა. ეს პრობლემა, სხვათა შორის, ახალ მინისტრსაც დაუდგება.

— ალასანიამ არაერთხელ განაცხადა, რომ მან სისტემაში რეფორმა განახორციელა. ეს რეფორმა რაში აისახა?

— რთული სათქმელია.. მე ვნახე მინისტრის რამდენიმეგვერდიანი ხედვა, მაგრამ ამის უკან რისი რეალიზაცია მოხდა, არ ვიცი. მაგალითად, ეს კორუფციული დაკავებებიც (თუმცა, ჯერ მე არ ვიცი, კორუფცია რეალურად არის თუ არა) იმას ნიშნავს, რომ სტრუქტურებს შორის სერიოზული აღრევა იყო. არანაირი შეხება არ უნდა ჰქონოდა შესყიდვებთან გენშტაბის იმ სტრუქტურის უფროსს, რომელიც დაკავებულია. მას მხოლოდ ეხებოდა სტრატეგიული დაგეგმარება (შეიძლება ამ დაგეგმარების დროს განესაზღვრა პარამეტრები). მით უმეტეს, სამსახურებრივად არანაირი შეხება არ უნდა ჰქონოდა მინისტრის მოადგილესთან. რა ხელი უნდა ჰქონდეს მინისტრის მოადგილეს გენშტაბის ერთ-ერთი სამმართველოს უფროსთან, გაუგებარია. მეტიც, დავალებასაც ვერ მისცემდა. თუკი პროკურატურამ რაღაც „ლინკი“ მაინც აღმოაჩინა ამ ურთიერთობაში, ეს მიანიშნებს, რომ მთლიანად სტრუქტურა აღრეულია.

ანუ ეს საქმე ძალიან სპეციფიკურია. სამწუხაროდ, საზოგადოებას პოლიტიკური დეტალები უფრო აინტერესებს, ვიდრე ტექნიკური. ჩემთვის კი უფრო საინტერესოა სამხედრო მოსამსახურე, რომელსაც არასწორი მართვის გამო ისეთ კითხვებზე უწევს პასუხის გაცემა, რომელიც, წესით, მას საერთოდ არ უნდა ეხებოდეს.

მაინტერესებს კაიშაურის ბედი, რომელსაც ძალიან კარგად ვიცნობ. წლების განმავლობაში ის საუკეთესო რეკომენდაციით ხასიათდებოდა, უაღრესად კარგი მცოდნეა თავის საქმისა და როგორც არ უნდა გამოიკვეთოს მისი ბრალეულობა, მე ყოველთვის სიამოვნებით გავიხსენებ მასთან ურთიერთობას. დღეს ეს სამხედრო მოსამსახურეები ყველას დაავიწყდა, არადა მთელი ეს ხმაური მათ დასაცავად უნდა ატეხილიყო. ახლა კი ვსაუბრობთ იმაზე, მინისტრი როგორი იყო, რა წავაგეთ, ან რა შეიცვალა...

— როგორც წესი, სამოქალაქო პირები არ უნდა აკავებდნენ სამხედრო პირს, არა?

— ეს კიდევ ცალკე თემაა, მაგრამ ძალიან საინტერესო. ელემენტარულად, ეს არის ქვეყნის სიმწიფის და სახელმწიფოებრივი კულტურის მაჩვენებელი. თქვენ ვერ ნახავთ ქვეყანას, სადაც არ არსებობს სამხედრო სამართლის დამცავი სისტემა. აუცილებლად უნდა გყავდეს სამხედრო პროკურორი, სამხედრო ადვოკატი და უნდა გვქონდეს სამხედრო სასამართლო. მეტიც, აუცილებლად უნდა იყოს ის ადგილი, სადაც სამხედროები სასჯელს მოიხდიან.

აფხაზეთის ომის დროს მოქმედებდა სამხედრო სასამართლო, 2003 წლამდე მოქმედებდა სამხედრო პროკურატურა. სამხედრო ადვოკატურა, როგორც ასეთი, არ არსებობდა, მაგრამ თავდაცვის სამინისტროს იურისტები სწავლობდნენ ასეთ საქმეებს და ახერხებდნენ დაცვას. სამხედრო პოლიციის ინსტიტუტის დასანერგად მიდიოდა აქტიური მუშაობა და აშშ-შიც გაიგზავნა რამდენიმე პირი განათლების მისაღებად. მართალია, არ არსებობდა დისციპლინარული ბარაკები, თუმცა ჩვენ გვქონდა დისციპლინარული ბატალიონი, სადაც სამხედრო მოსამსახურეები სასჯელს იხდიდნენ. რადგან ის არ შეესაბამებოდა სტანდარტებს, ამიტომაც არასამთავრობოებმა დაიწყეს სერიოზული კამპანია ამის წინააღმდეგ და იძულებული გავხდით, დაგვეხურა. ის მართლაც უნდა დახურულიყო, მაგრამ მის ადგილას სიცარიელე დარჩა.

მოქმედებდა კომენდატურა, ანუ სამხედრო მოსამსახურეების წინასწარი დაკავების ადგილი. ახლა კი დაკავებული მოსამსახურე სად მიდის? — მიდის პირდაპირ კრიმინალებთან და მათ გვერდით ჯდება. ეს ყოვლად მიუღებელი და დაუშვებელია. თუ რეფომის დაწყება უნდათ, აქედან უნდა დაიწყონ. უნდა შექმნან ის ღერძი, რასაც დაეყრდნობა სამხედო დისციპლინა. რომაელების დროიდან ორი რამ გააჩნია მეთაურს დისციპლინის შესანარჩუნებლად — დაჯილდოება (ანუ წახალისება) და მეორე, მას შეუძლია მიიღოს დისციპლინური ზომები. როცა ქვეყანაში არსებობს სამხედრო პროკურორი, არასოდეს არ უწევს სამხედრო პირს სამოქალაქო პირთან დაპირისპირება. გახსოვთ, ალბათ, ფილმი „რემბო“. რაზეა ის? ვიეტნამის ომის გმირს დასდევს სამოქალაქო პოლიციელი. რატომ? იმიტომ, რომ მისი უბრალოდ შურს. ეს მომენტი არის ხოლმე ჩვენთანაც...

აი, დღეს ამასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი დუმილია, არადა, რაღაც მომენტში ეს თავს აუცილებლად იჩენს. არის წერტილი, რომლის იქით სამხედრო პირი, რომელსაც მუნდირის ღირსების გრძნობა და თავმოყვარეობა გააჩნია, ამაზე პროტესტს გამოთქვამს...

— თქვენ ადრე თქვით, რომ ალასანიას თავგამოდება თავისი სამინისტროს თანამშრომლებისადმი გამართლებულიაო.

— თავიდან მომეჩვენა, რომ ალასანიამ მართლა გამოიდო თავი. თუმცა, რომ გავაანალიზე, მივხვდი, რომ მან ეს პოლიტიკური დემარშისთვის გამოიყენა.

— ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტს, როგორ უყურებათ?

— ისე ჩანს, რომ ეს მერე ამოგდებული თემაა. თუკი ძიება მიდიოდა, მაშინ გაგრძელებულიყო როგორც იძიებდნენ. პროკურატურის ნაკლი ის კი არ არის, რომ იძიებს, არამედ ის რომ, მისი ქცევა ადგილს ტოვებს ინტერპრეტაციისთვის. პარალელურ რეჟიმში ექიმების საქმის ამოწევამ ალასანიას კოზირი მისცა. ის ცოტა უფრო დინჯად რომ მოქცეულიყო, შეეძლო ამ რაუნდის მოგება. მაგრამ მან რაღაც მომენტში იფიქრა, რომ შეეძლო კატალიზატორის როლი ეთამაშა და აღმოჩენილიყო რაღაც პროცესის თავში. ეს არასწორად გათვალა, წააგო და ეს არის მისი ბრალი...

— მინდა, შევეხოთ კაბელების თემასაც...

— დავიწყოთ იქიდან, რომ არ ვიცი, რეალურად რა მოხდა, მაგრამ შემიძლია ვიმსჯელო. ეს კაბელი იყო საჭირო თუ არა, ამას ვერც ერთი ექსპერტი ვერ დაადგენს. ჩვენ არ ვიცით, რა გეგმის რა ნაწილს უნდა მომსახურებოდა. ამ კაბელებს უნდა უზრუნველეყო „ა“ პუნქტიდან „ბ“ პუნქტამდე კავშირი, წერტილის ბოლოებში კი რა იყო ჩადებული, არ ვიცი. ჩემი აზრით, სამოქალაქო პროკურორი ამ საქმეში გაიბლანდება. მეტიც, ადვოკატიც გაიხლართება ამ ამბავში და ვერ დაიცავს.

სავარაუდოდ კაიშაურს დაავალებდნენ კაბელების გათვლას, თორემ მას თავში ეს თავისით არ მოუვიდოდა. მან, შესაძლოა, ეს დავალება შეასრულა, დათვალა და გენშტაბში სხვა, პარალელურ უჯრაში უნდა მიეწოდებინა ვინმესთვის, და არა პირდაპირ შესყიდვების სამმართველოსთან დაემყარებინა კავშირი. თუ შესაძენია რაღაცა, ჯერ დგება საბიუჯეტო მოთხოვნა, მერე მტკიცდება ბიუჯეტი. წინა ბიუჯეტით ამას ვერ შეისყიდი. ანუ ბიუჯეტში ჩადებული ფულით აცხადებენ ტენდერს ანდა, განსაკუთრებულ შემთხვევაში, ყიდულობენ ტენდერის გარეშე.

მე ძალიან მიკვირს, რატომ გამოცხადდა ტენდერი? როცა კანონი გაძლევს საშუალებას, საიდუმლო შესყიდვებისას იმოქმედო სხვანაირად. ტენდერი რომ არ იყოს გამოცხადებული, ამ ადამიანებს ხელსაც ვერ ახლებდნენ. მე რაშიც ამჟამად ვერკვევი ისაა, რომ გენშტაბის ამ ერთი კონკრეტული სამმართველოს უფროსს არ უნდა ჰქონოდა საშუალება, უშუალოდ მოეთხოვა შესყიდვა და მის არჩევანზე არ უნდა ყოფილიყო დამოკიდებული ამა თუ იმ ფირმის არჩევა.

თუ როგორ გააბამს ამ „ლინკს“ პროკურატურა, საინტერესოა, მაგრამ თუკი ეს მოახერხა, იმას ნიშნავს,რომ სტრუქტურები აღრეულია და მთლიანად სისტემა ყოფილა აბურდული გენშტაბის სამსახურებსა და თავდაცვის სამინისტროს შორის.

— თითქოს პარლამენტიც იყო საქმის კურსში?

— ისინი მხოლოდ ბიუჯეტის ნაწილში თუ ჩაერეოდნენ. წინასწარ თუ არ იქნებოდა დაგეგმილი, „სტრატეგიული დონის“ უჯრა რატომ ჩაერთვებოდა? ანდა რას ნიშნავს ის, რომ გენშტაბის ერთ-ერთი სამმართველოს უფროსი ექვემდებარება თავდაცვის მინისტრის მოადგილეს, ანუ სამოქალაქო პირს?! თუ ეს ხდება, ის კი არ არის დამნაშავე, ვინც დაჭერილია, არამედ მთელი ძაფია ამოსაღები. და, საერთოდ, რა გახდა ის, რომ შესყიდვები არ გააკეთოს თავდაცვის სამინისტრომ, ამაზე წლებია მიდის მუშაობა და ვერ მოხერხდა ამის მოწესრიგება. შექმნან ცალკე ან ბიურო, ან სამინისტრო და მან აკეთოს სამხედრო შესყიდვები, ხოლო თავდაცვის სამინისტრომ ქვეყნის უსაფრთხოებაზე იზრუნოს.

— ჩვენ შევეხეთ ტექნიკურ საკითხებს, ახლა კი საინტერესოა, ამ საქმის პოლიტიკური ნაწილი. თქვენ ერთ-ერთ გადაცემაში ახსენეთ, რომ ალასანიას პოლიტიკური განცხადებების შემდეგ შეგვეძლო ვარაუდი იმისა, რომ ამას სამხედრო გადატრიალება მოჰყოლოდა.

— როცა თავდაცვის მინისტრი, მით უმეტეს რეიტინგული, აცხადებს, რომ ქვეყანამ გადაუხვია კურსს, ლოგიკური მეორე ნაბიჯი ისაა, რომ თქვას, მე გამოვასწორებ ამ ყველაფერსო.

— მაგრამ ამხელა ამბიცია მას ექნებოდა?

— დარწმუნებული ვარ, არ ექნებოდა, მაგრამ როდესაც ვაკვირდები მის მოღვაწეობას, რაღაცები წამოსცდება ხოლმე.

— ენა წინ უსწრებს?

— საინტერესო საკითხია, ენა უსწრებს წინ თუ შეგნებულად აკეთებს.

— პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილება ლოგიკური იყო?

— თუკი ის მინისტრს არ გადააყენებდა, მაშინ თვითონ უნდა გადამდგარიყო... მაგრამ არც ის არის მართებული, რაც პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომზე ალასანიაზე ილაპარაკა...

— ალასანიას ხელს აძლევდა ასეთი ვითარება?

— ბუნებრივია. მაგრამ როგორც ახლა ვითარდება სიტუაცია, შეიძლება ახლა აღარც აწყობს. მან შექმნა იმ დროისთვის პრემიერის ანტიევროპული იმიჯი...

— შექმნა კი?

— ყოველშემთხვევაში სცადა. ვიღაცები აჰყვნენ ამას და განცხადებებიც გააკეთეს. მან ივარაუდა, რომ, როგორც კი დარჩებოდა პოლიტიკურ სივრცეში მარტო, ის დარჩებოდა გამარჯვებული, მაგრამ რაღაც ვერ გათვალა...

— როცა ალასანიამ გაახმიანა იდეა საჰაერო თავდაცვის სისტემის საქართველოში განთავსების შესახებ, თქვენ როგორ აღიქვით ეს?

— იცით რა, მე მაშინვე ვთქვი, რომ ეს არარეალურია. არ ვიცით, რა დაგვიჯდება, რა პერსიონალი სჭირდება, ან როგორ დავიცვათ... და მეორეც, ეს ნიშნავს, რომ №1 სამიზნე ვხდებით სავარაუდო მოწინააღმდეგისთვის. ანუ ყველა კუთხით წამგებიანია.

— ალასანიაზე საუბარს რომ მოვრჩეთ, მინდა გკითხოთ თქვენი მოსაზრება გენშტაბის უფროსის გიგი კალანდაძის დაკავებასთან დაკავშირებით, რომელიც მისი კაბინეტის წინ დააპატიმრეს. მას არ გამოუთქვამს პროტესტი.

— მას აკლია ამის კულტურა. როცა დაუშვა გენერალური შტაბის უფროსის ასეთი ფორმით დაპატიმრება, ნიშნავს, რომ პატივს არ სცემს მუნდირს. მას ახლა ეს უკან დაუბრუნდა და რატომ უკვირს?! მე ჩემი დამოკიდებულება მაქვს კალანდაძესთან, მაგრამ ხელი მეც მოვაწერე გენერალთა კლუბის მიმართვას, რომ ის წინასწარ პატიმრობაში არ ჰყოლოდათ. იმიტომ, რომ ჩემთვის მუნდირი გაცილებით მეტს ნიშნავს.

— შეეძლო პრემიერ- მინისტრს არ ეჩქარა თავდაცვის მინისტრის დანიშვნა?

— დიახ. მას არ უნდა ეჩქარა. შეეძლო, რაღაც პერიოდის მანძილზე არ ჰყოლოდა თავდაცვის მინისტრი. ამის პრეცედენტები არსებობს მსოფლიოში. მას თავდაცვის მინისტრი მოსაძებნი ჰყავდა. ახლა პრაქტიკულად დანიშნა პირი, რომელსაც ენდობა და რომელმაც სისტემა ასევე არ იცის. პრემიერს შეეძლო შეეთავსებინა თანამდებობა, ხოლო ამ კაცისთვის მიეცა საშუალება, სისტემას გაცნობოდა და ესწავლა, შემდეგ კი დაენიშნა.

ახალი თავდაცვის მინისტრი მოდის მეტად სპეციფიკური განათლებით, რომელიც როგორც ცა და დედამიწაა განსხვავებულია იმისაგან, რაც მას სჭირდება.

წესით, სავალდებულო არაა მინისტრი იყოს სამხედრო პირი, მაგრამ მაშინ სამხედრო უწყება — კონკრეტულად გენერალური შტაბი უნდა იყოს ძლიერი. გენშტაბი არა მარტო თავდაცვის მინისტრს ექვემდებარება, არამედ უმაღლეს მთავარსარდალს.

— უნდა დაიწყოს თუ არა თავდაცვის სამინისტროში კადრების წმენდა?

— „წმენდა“ ცუდი სიტყვაა. მან უნდა დაიწყოს სისტემის შესწავლა. აი, რა დრო წავა ამაზე, სხვაა. მაგრამ მან უნდა მიიღოს ინფორმაცია, სად არის მისი კომპეტენციის ფარგლები. ისე არ უნდა იყოს, რადგან მე მინისტრი ვარ, ყველაფერი ვარ. ეს მაშინ შეიძლება, როცა მინისტრი სამხედრო პირია. აი, ეს სხვაობაა „დასაჭერი“. სხვათა შორის, სამოქალაქო მინისტრებს ვერც ერთს ეს ვერ შევატყვე...

— და მაინც, რაში უნდა აისახოს ჯარის სიძლიერე (როგორც დილეტანტი ისე გეკითხებით) მაშინ, როცა ბოლო 20 წელიწადია, ყველა ომი წავაგეთ?

— ომის წაგება ფარდობითი ცნებაა. ჯარის სიძლიერე იმაში უნდა გამოიხატოს, რომ მოწინააღმდეგემ ადვილად ვერ მოგახვიოს თავისი პოლიტიკური ნება. ანდა შენდამი წარმოებული პოლიტიკა უნდა გახადოს რბილი...

— ახლა როგორი მდგომარეობაა ჯარში?

— ჯარს ყოფითი პირობები გაუუმჯობესდა, იარაღი უკეთესი აქვს, ჯარისკაცის მომზადების დონეც უკეთესია, მაგრამ კომპლექსური მართვა ჭირს, ამას სჭირდება დრო, ოფიცერთა კორპუსის ჩამოყალიბება. დღეს არიან შტაბში ოფიცრები, რომლებიც რახანია, სამხედრო ნაწილში არ ყოფილან. ისინი პრაქტიკულად მოწყვეტილები არიან იმ სინამდვილეს, რომელსაც ბრძანებებს უთვლიან.

— ტვინების დეფიციტი რომ არა, ფინანსური შესასძლებლობები საკმარისია თავდაცვის სამინისტროში?

— არც ისე დიდი თანხებია, როგორც მავანს ჰგონია. მაგრამ საბოლოო ჯამში, ომში, რომ იცოდეთ, არც თანხა იბრძვის, არც ტანკი და არც რაკეტაა. საბოლოდ ადამიანი იბრძვის, რომელსაც ეს აქვს, ან არა აქვს, მაგრამ გაწვრთნილია ბრძოლისთვის...

ფეხშიშველა ვიეტნამელებმა ჯერ ფრანგები გაყარეს თავისი ქვეყნიდან და მერე ამერიკელები... ამიტომ ყველაფერი ფარდობითია. ჩვენი პრობლემა რეალურად არის მართვა და, როგორც ჩანს, პოლიტიკურ დონეზეც...

— გმადლობთ, საინტერესო საუბრისთვის.

ესაუბრა
თეა მოსია

◎ „ძველი“ ახალი თავსატეხი

ვისი მიწაა თრუსოს ხეობა და რა სურთ სეპარატისტებს?

ვიდრე აფხაზეთში რუსეთთან გასაფორმებელ ე.წ. „სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე“ მსჯელობენ, ცხინვალის რეგიონის ყოფილი „ხელისუფალნი“ ახალ ტერიტორიებზე აცხადებენ პრეტენზიებს. „თრუსოს ხეობა ჩვენი მიწაა და ჩვენ მისთვის ვიბრძოლებთ“, — აცხადებს ოკუპირებული „სამხრეთ ოსეთის“ ე.წ ყოფილი პრეზიდენტი. ედუარდ კოკოითიმ ვლადიკავკაზში გამართულ ოსი ხალხის ყრილობაზე რუსეთთან ურთიერთობის მნიშვნელობაზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ოს ხალხს რუსეთი ისე უყვარს, რომ ამ სიყვარულს გადამოწმება არ სჭირდება, მისივე თქმით, კავკასიიდან რუსეთის განდევნის და ნატოსა და შეერთებული შტატების ძალებით ჩანაცვლების გეგმა მცირერიცხოვანი ოსი ერისთვის სახიფათოა. ყრილობაზე ყოფილი ე.წ. პრეზიდენტის გამოსვლის დეტალებზე ოსური მედია წერს.

„თუ მიმდინარე მოვლენებს სამამულო ომს შევადარებთ, ვნახავთ, რომ ჩეჩნეთი სტალინგრადის ომი იყო, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი — ბრძოლა მოსკოვისთვის, ყირიმი კი ფაშიზმზე გამარჯვებაა“, — განაცხადა ედუარდ კოკოითიმ.

„სახალხო ფრონტის“ თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე მიიჩნევს, რომ კოკოითის განცხადებებს არანაირი ისტორიული საფუძველი არ გააჩნია.

„თრუსოს ხეობის ოსური მოსახლეობა ძალიან მცირერიცხოვანი იყო. ისინი აქ მე-17 საუკუნეში დასახლდნენ, ნარის ხეობიდან გადმოვიდნენ. ნარის ხეობა, სადაც როკის გვირაბიდან გადიხართ, მუდამ საქართველოს ტერიტორია იყო, თბილისის გუბერნიაში შედიოდა და რუსეთმა მე-19 საუკუნეში თითქოსდა ადმინისტრაციის გაადვილების მიზნით წაართვა საქართველოს და ჩრდილოეთ კავკასიას გადასცა. იქ პირწმინდად ოსური მოსახლეობა ცხოვრობს. თავად ნარის ხეობაში ოსური დასახლებები კი მონღოლების დროს გაჩნდა. ასე რომ, თრუსოს ხეობის მიმართ მათ ვერანაირი კანონიერი პრეტენზია ვერ ექნებათ“, — განაცხადა ნოდარ ნათაძემ.

„სახალხო ფრონტის“ თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ კოკოითის განცხადებები რუსეთის და პრეზიდენტ პუტინის ინტერესების გახმოვანებაა, თუმცა, მათი განხორციელება, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

„პუტინი დღეს ძლიერ დიქტატორს სიმულანტობს. ყველა ფრონტზე აგებს, მაგრამ თამაშობს აგრესიულ განზრახვებს, ვითომ, შეუძლია რაღაც გააკეთოს. ფსიქოლოგიურად, პუტინი მართლაც მომზადებულია ყოველგვარი აგრესიისთვის, ის რუსეთში უზარმაზარი რეიტინგით სარგებლობს, როგორც წარმატებული დიქტატორი, მაგრამ მან ვერ შეძლო საკუთარი ძალების მოზომვა და აცხადებს პრეტენზიებს, რომლის განხორციელებაც მას არ შეუძლია. რუსეთის პრეტენზიები თრუსოზე ბლეფია, ისევე, როგორც აფხაზეთთან ე.წ. სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმება“, — აცხადებს ნოდარ ნათაძე.

მისი განმარტებით, თრუსოს ხეობას რუსეთისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს და, ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა დარიალის ხეობაში მშენებარე გვირაბის საკითხი.

„თრუსოში თუ რუსეთის ჯარი ჩადგა, ეს იმას ნიშნავს, რომ ჯვრის უღელტეხილი აღებული ექნებათ. რუსეთიდან საქართველოს სამხედრო გზით რომ მოდიხარ, დაახლოებით 6 კილომეტრის შემდეგ იწყება დარიალის ხეობა, ამ ხეობაში რუსეთთან დაკავშირებული კონკრეტული კომპანია უზარმაზარ გვირაბს აშენებს, რომლის გაცხადებული მიზანი გვირაბის მეშვეობით დარიალჰესის წყლით მომარაგებაა, სინამდვილეში ეს არის გვირაბი, რომელშიც, შესაძლოა, გამოიაროს ჯავშანტექნიკამ და არმიამ და ამ გზით პირდაპირ შემოვიდეს ყაზბეგში. რაც იმას ნიშნავს, რომ დარიალის ხეობა, როგორც დაცვის ზონა, ხელიდან გვეცლება. არადა, სწორედ, დარიალის ხეობა ინახავდა საქართველოს საუკუნეების განმავლობაში ჩრდილოეთიდან თავდასხმებისგან. ყაზბეგიდან 3-4 კილომეტრში, თერგის მარცხენა შენაკადთან მდებარეობს თრუსოს ხეობა და მას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ჩვენი მტრისთვის. პრეტენზიები თრუსოზე არის რუსების მიერ „შახის“ თქმა საქართველოსთვის და საერთოდ, დასავლეთისთვის“, — განმარტავს ნოდარ ნათაძე და აღნიშნავს, რომ რუსეთის გაცხადებული მიზანია, არ დაუშვას ნატოს წევრი ქვეყანა თავის მეზობლად, სინამდვილეში კი სურს, დასავლეთს გადაუკეტოს ამირეკავკასიის დერეფანი და შეუზღუდოს შუა აზიაში მოძრაობა.

„საქართველოს არა მხოლოდ ტერიტორიული აღგენის, გადარჩენის გზაც, დღეს პირდაპირ გადის რუსეთის დამარცხებაზე, რუსეთი კი დამარცხდება ეკონომიკური სანქციების პოლიტიკით“, — აცხადებს ნათაძე.

თრუსოს ხეობაზე და „ორი ოსეთის“ გაერთიანების იდეაზე ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ წარმომადგენლები პრეტენზიებს 2010 წელსაც აცხადებდნენ, „აანონსებდნენ“ კიდეც, რომ „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოსგან ძალიან მალე კურორტ გუდაურთან ახლო მდებარე ტერიტორიას — გუდას ხეობას მოითხოვდა, ჩრდილოეთი ოსეთი კი — თრუსოს ხეობას.

ქართულ მიწაზე პრეტენზიები 2008 წლის აგვისტოს რუსული აგრესიის და ოკუპანტების მიერ ახალგორის დაპატრონების შემდეგ გაიზარდა. 2009 წლის აგვისტოში „რია ნოვოსტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ედუარდ კოკოითმა „ისტორიული წიაღსვლებით“ „დაადასტურა“, რომ თრუსოს ხეობა ოდითგანვე ოსური მიწა იყო და საბჭოთა კავშირის დროს საქართველოს გაურკვეველი მიზეზით გადაეცა. იმავე პერიოდში რუსულენოვან ინტერნეტგამოცემა „აირონ თაიმსში“ გამოქვეყნდა ვინმე ვადიმ თოხსიროვის სტატია. ავტორის „დასაბუთებით“, თრუსოს ხეობა ისევე, როგორც თეთრი არაგვის სათავეების ხეობა, ძირძველი ოსური ტერიტორიაა და ისტორიულად ახალგორს ეკუთვნოდა, ხოლო ახალგორი, თავისთავად, ოსეთია. თოხსიროვის სტატიაში ნათქვამის დასადასტურებლად მეფისნაცვლის პერიოდის მაგალითები მოჰყავდა. მეფის რუსეთის ჩინოვნიკები კი, თავის მხრივ, წყალგამყოფად ჯვრის უღელტეხილს ასახელებდნენ და მის გადაღმა არსებულ ტერიტორიას მთლიანად ვლადიკავკაზის, ანუ ოსეთის, ტერიტორიად განიხილავდნენ. ვადიმ თოხსიროვის პუბლიკაცია ოსი „ისტორიკოსების“ მიერ მოყვანილ „წყაროებს“ ეფუძნებოდა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ თრუსოს ხეობა, კობის ტაფობი და ხევი-ყაზბეგი თავიდანვე ოსეთის კუთვნილება იყო. ამავე თემაზე უკვე საკმაოდ დიდი ხანია, მუშაობს ჩრდილოეთ ოსეთში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაცია „დარიალიც“.

ელენე აბესაძე

◎ საპარტნიორო ფონდი

მესამედ გადადებული „ფერისცვალება“

მოლოდინის მიუხედავად ირკვევა, რომ ახალი სტრუქტურა, ანუ განვითარების საფინანსო კორპორაცია აღარ შეიქმნება, ვინაიდან მთავრობამ ამის გაკეთება „გაურკვეველი ვადით“ გადაიფიქრა, რის მიზეზად ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ექსპერტების კრიტიკული შენიშვნები დაასახელა. მინისტრის თქმით, შეიქმნება თუ არა საბოლოო ანგარიშით საფინანსო კორპორაცია, ეს სერიოზული კვლევის საგანია, მანამდე კი საპარტნიორო ფონდი მუშაობას განაგრძობს.

წლეულს ივნისში ეკონომიკის სამინისტროში გაკეთებული განცხადებებიდან ცნობილი იყო, რომ ახალი საფინანსო ინსტიტუტის შექმნას დადებითად აფასებდნენ ისეთი სოლიდური და ავტორიტეტული ფინანსური ორგანიზაციის წარმომადგენლები, როგორიცაა ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის ექსპერტები. კერძოდ, აღნიშნული იყო, რომ სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის წახალისებასა და განვითარების ხელშემწყობი ახალი ინსტიტუტის შექმნისგან დადებით შედეგს ელიან. ამასთან, ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ ადგილობრივი კომერციული ბანკების ხელმძღვანელობა აცხადებდა, რომ სახელმწიფო სააქციო საზოგადოების შექმნასთან დაკავშირებით მათთან შესაბამისი კონსულტაციები არ გამართულა. თუმცა, მერე ცნობილი გახდა, განვითარების ბანკის რეგისტრაცია შეჩერდა და პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ბრძანებით, პროექტის დახვეწის მიზნით, ახალი სამუშაო ჯგუფი შეიქმნა.

როგორც ჩანს, ახალი საფინანსო ინსტიტუტის შექმნას იმთავითვე გარკვეული წინააღმდეგობები შეხვდა. კერძოდ, მოგვიანებით გამოითქვა აზრი, რომ სხვა დიდი, ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოს პრაქტიკის ჩვენნაირ მცირე და ჯერ კიდევ განვითარების გზის დასაწყისში მყოფ ქვეყანაში მექანიკურად გადმოტანა, მაღალი ანაზღაურების მიმღები რამდენიმე ათეული სამუშაო ადგილის შექმნა ჩინოსნებისთვისა და მათთვის დიდი ფინანსური სახსრების განკარგვის უფლების მიცემა, საზოგადოებისთვის, ქვეყნის მოსახლეობისთვის დიდი სიკეთის მომტანი მაინცდამაინც არ უნდა იყოს.

ამის გათვალისწინებით, პარლამენტის შესაბამის კომიტეტებში საპარლამენტო ფონდის ბაზაზე განვითარების ბანკის შექმნის შესახებ წარდგენილი კანონპროექტის განხილვა შეჩერდა, რის მიზეზად საკითხზე ჯერ კიდევ პრემიერთან არსებული ეკონომიკური საბჭოსთვის გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო დრო დასახელდა, ვინაიდან განვითარების ბანკის შექმნის იდეა სწორედ მისი ინიცირებული იყო. გაკეთდა განცხადება, რომ საკითხს სექტემბერში დაუბრუნდებოდნენ, მანამდე კი სავალუტო ფონდსა და სხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ექსპერტებთან კონსულტაციები გაიმართებოდა.

ცოტა ხნის წინათ კი ვიცე-პრემიერმა კახი კალაძემ განვითარების ბანკთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებაში აღნიშნა, რომ ეკონომიკურ საბჭოში საკითხზე მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ ამ ეტაპზე ყველაფერი ძველებურად დარჩება, პროექტების განხილვა-განხორციელება კი კვლავაც საპარტნიორო ფონდის ბაზაზე მოხდება.

— იმის გამო, რომ საპარტნიორო ფონდი ქვეყანაში მეტად მნიშვნელოვან პროექტებს ახორციელებს, მისი გაძლიერებაც კი შეგვიძლია. ამიტომ მას მეტი ასპარეზი უნდა მივცეთ, — აღნიშნა მან.

აქედან გამომდინარე, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა განვითარების ბანკის შექმნის საკითხის განხილვა გადადო.

— დიდი პროექტების განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსების მოძიება საპარტნიორო ფონდისთვის გაცილებით იოლია, ვიდრე საბიუჯეტო ორგანიზაციისთვის. ამის გარდა, საპარტნიორო ფონდისგან დიდად განსხვავებული მოდელის გამონახვა საკმაოდ რთულია, — აღნიშნა ამასთან დაკავშირებით საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ირაკლი კოვზანაძემ.

უნდა ითქვას ისიც, რომ საპარტნიორო ფონდის არსებობის სამი წლის მანძილზე, ეს მისი სტრუქტურული რეორგანიზაციის მესამე უშედეგო ცდა იყო.

ოთარ ტურაგელიძე

◎ ინფორმაცია თემაში

საპარტნიორო ფონდი „მეწარმეთა შესახებ კანონის“ შესაბამისად შექმნილი სახელმწიფო სააქციო საზოგადოებაა, რომლის 100 პროცენტის მფლობელია სახელმწიფო. მის საკუთრებას წარმოადგენს მთელი რიგი სხვა სახელმწიფო სააქციო საზოგადოებები, კერძოდ, „საქართველოს რკინიგზა“, „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“, „საქართველოს ელექტროსისტემა (100-100-პროცენტიანი წილით), ასევე „თელასი“ (25-პროცენტიანი წილით). ფონდის მიზნებია ქვეყნის ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი პროექტების განსახორციელებლად საჭირო ინვესტიციების მოზიდვა, შეჩერებული პროექტების დასრულების ხელშეწყობა, განსახორციელებელი პროექტების კერძო სექტორისთვის გადაცემა.

◎ ალიან-ჩალიანი

ხანძარი საცურაო აუზში

გუშინ ვაკის საცურაო აუზში ხანძარი გაჩნდა.

შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო 9 ავტომანქანა და 2 სახანძრო ჯგუფი. ადგილზე შენობის ცალკეული ნაწილი მეხანძრეებს კვამლში გახვეული დაგვხვდა, და აღმოჩნდა ნოლ სართულზე ტექნიკურ საქვაბეში დამწვარი 60 კვ-მდე პლასტმასის გაყვანილობა და ქვაბების თერმოიზოლაცია.

როგორც ვაკის საცურაო აუზის მენეჯერმა დავით ფოჩხუამ აღნიშნა, ხანძარი გაჩნდა საქვაბეში.

„საცურაო აუზის მუშაობა ძალიან მალე აღდგება, მიმდინარეობს ჰაერის გაწმენდა“, — განაცხადა ფოჩხუამ.

როგორც ვაკის საცურაო აუზზე მომუშავეები აცხადებენ, ხანძარი დაახლოებით 11:00 საათზე გაჩნდა. საცურაო აუზში ბავშვებიც იმყოფებოდნენ და შენობა სასწრაფოდ დაცალეს.

ინტერპრესი

ქალთა თუ ზოგადად, ადამიანის უფლებები?

ჩვენს დედაქალაქში და, ზოგადად, საქართველოში, ისედაც დამძიმებული ცხოვრება კიდევ უფრო დაგვიმძიმა ... მკვლელობებმა. მკვლელობა! – ეს საშინელი აქტი ისე გახშირდა, ისე მოედო ქვეყანას, თითქოს ინფექციურ დაავადებასთან გვქონდეს საქმე: ვრცელდება და ვრცელდება... მაგრამ ყველაზე საოცარია ის, რომ ასეთი საშინელი აქტების შედეგად მსხვერპლნი, მამაკაცებთან შედარებით, უფრო მეტად ქალები არიან. ტრაგიკული მოვლენები, ამ მოკლე ხანში, სერიებივით გადაება ერთმანეთს. მარტო დაზარალებული ოჯახები კი არადა, მთელი საზოგადოება დაიზაფრა. თითოეული ჩვენგანი საგონებელში ჩავარდა: რა ვიფიქროთ, რასთან გვაქვს საქმე, კერძო დანაშაულთან, უცნაურ მიმართულებასთან თუ ტენდენციასთან? საფიქრალია!..

იმისათვის, რომ ამ მოვლენების მიზეზებისთვის რაღაც ჩემეული მეთოდებით და ხერხებით მიმეგნო, ჩემს ირგვლივ არსებულ სოციალურ გარემოს, ნაცნობი ოჯახების წევრების – ქალების, მამაკაცების წარსული თუ თანამედროვე ცხოვრების ნიუანსებს კიდევ უფრო დაკვირვებული თვალი გადავავლე, გარდა ამისა, გადავხედე ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობაზე არსებულ ელექტრონულ თუ ბეჭდვით ვერსიებს. ყველა გზამ ადამიანის აღზრდასთან, ზნეობასა და მორალთან მიმიყვანა. მაგრამ ყველაზე მეტად გამაკვირვა იმან, რომ მეჩვიდმეტე საუკუნიდან მოყოლებული დღემდე, ამ თემით დაინტერესებული მკვლევარ-მეცნიერები მსჯელობენ და კამათობენ, აყენებენ საკუთარ მოსაზრებებს ქალისა და კაცის აღზრდის, მათი უფლებების შესახებ, მაგრამ პრობლემური საკითხები დღემდე გაურკვეველი და სწორედ ისეთივე რჩება როგორიც იყო წარსულში, ერთი საუკუნის თუ ორი საუკუნის წინათ: არის თუ არა საჭირო სხვადასხვა მეთოდები და მიდგომები ქალისა და მამაკაცის აღსაზრდელად, განსხვავებულია თუ არა მათი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში? დღესაც აქტუალურია ეს კითხვები. სამწუხაროდ, ამ საკითხში ვერც მეცნიერ-მკვლევართა თეორიებმა, ვერც ცივილიზაციების ცვლამ და საზოგადოების განვითარებამ, პოლიტიკამ ან ფორმაციების შეცვლამ, პრობლემის გადაჭრას და საბოლოო აზრის მტკიცედ ჩამოყალიბებას, ჯერჯერობით, მაინცდამაინც ვერ უშველა.

რაც შეეხება ძალადობას, უნდა ვთქვა, რომ ამ მხრივაც არ არის კარგად საქმე, ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის სტატისტიკურმა მონაცემებმაც კი შვება ვერ მომგვარეს, არადა, მისაბაძ მაგალითად მინდოდა რომელიმე განვითარებული, კაპიტალისტური ქვეყანა გამომეყენებინა. ძალადობა, მეტ-ნაკლებად ყველგან ხდება. ჩვენ კი, საქართველოს მოქალაქეებს, გვიკვირს, ძალადობის მომცველი მოვლენების მოჭარბება ჩვენს ცხოვრებაში და ღმერთმა დაგვიფაროს, რომ არ გვიკვირდეს, უბედურება სწორედ ეს იქნებოდა!. ჩვენი საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება ქალზე ძალადობის ფაქტებმა მიიპყრეს. ამიტომ, ახლა, ქალის უფლებების დაცვაზე გაცილებით უფრო მეტს საუბრობენ, ვიდრე ზოგადად ადამიანის უფლებებზე. არადა, ადამიანი ადამიანია, – ქალია ის, კაცი, ბავშვი თუ მოხუცი. ამიტომ ვიფიქრე, რომ ადამიანის უფლებების დამცველი კანონი ყველასთვის ერთი უნდა იყოს, ანუ თითოეულ ჩვენგანს ერთნაირად უნდა ეხებოდეს, ერთნაირად უნდა იცავდეს. მაგრამ, როგორც ჩანს, დღემდე მოსულმა ვერც ერთმა ცივილიზაციამ ვერ შეძლო ისეთი კანონების შექმნა, სადაც სიტყვა „ადამიანის“ შინაარსში ნაგულისხმევი იქნებოდა ყველა: კაცი თუ ქალი, ბავშვი თუ მოხუცი. დღემდე საჭირო ხდება ადამიანის სქესისა თუ ასაკის მიხედვით დაყოფა და მერე მათი უფლებების დამდგენი კანონების შექმნა. ასე რომ, არა მხოლოდ ვითარება, არამედ არსებითობა მოითხოვს ადამიანებისადმი ფრთხილ მიდგომას. ქალი-ადამიანი განსხვავდება კაცი-ადამიანისაგან. თავად ბუნება (გნებავთ, უფალი!), რომელმაც თავის დროზე იღვაწა პლანეტის კაცობრიობით დასახლებაზე, არა მარტო ქალისა და კაცის განსხვავებულ ფიზიონომიაზე, არამედ მათ ფსიქოლოგიაზეც იზრუნა. თუმცა, რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ორის ფსიქოლოგია ხელს უწყობს, მათ შორის, ანტაგონიზმს? არც იმის უფლება გვაქვს, განსხვავებულობაში ვიგულისხმოთ ერთის უპირატესობა მეორეზე. პირიქით! ამ მოსაზრების საფუძველს მაძლევს ქართული სიტყვა – „შეუღლება.“ ცოლქმრობა ერთ უღელქვეშ ყოფნას ნიშნავს, დროთა განმავლობაში ჩამოყალიბებული მონოგამიური ოჯახი ავალდებულებს წყვილს, თანაბრად გაინაწილონ პასუხისმგებლობა იმ უჯრედის შესაქმნელად, რომელსაც ოჯახი ჰქვია. ქალის და კაცის თანასწორობა ქართველთათვის არახალია. აქვე არ შემიძლია არ გავიხსენო „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი ქალები (მივაქციოთ ყურადღება ეპოქას, მეთორმეტე საუკუნეა!), რომლებიც, მართლაც პერსონები, პიროვნებები არიან. მიუხედავად სხვადასხვა სოციალური მდგომარეობისა და ხასიათებისა, ამ პოემაში ქალებიც მამაკაცებთან ერთად პასუხისმგებლობით ეკიდებიან სახელმწიფოებრივ თუ სხვა სოციალურ საკითხებს. ბევრ რამეში აჭარბებენ კიდეც მათ, ზოგ რამეში კი მამაკაცები პირველობენ. ასე რომ, თანასწორობა დაცულია.

დღევანდელ მოვლენებს დავუბრუნდეთ.

ადამიანი, რომელი ეპოქიდანაც არ უნდა ავიღოთ მაგალითი, ინდივიდია, ცოლი და ქმარი კი არადა, ძმა არა ჰგავს ძმას, არც და – დას. თითოეულ ადამიანში ჩადებულია ერთმანეთისაგან განმასხვავებელი, თავისებური ბუნება-კოდი (ასე დავარქვათ, ჩვენ ხომ მეცნიერები არა ვართ!) ამას გვიდასტურებს თავად ცხოვრება. დღემდე ასეა, ქალი და კაცი ორივე ადამიანია, რასაკვირველია, მაგრამ ერთმანეთისაგან განსხვავებული. თითოეულ მათგანს თავისი ადგილი აქვს ყოფაში, სოციუმში. აქვე მინდა, ვთქვა, მეოცე საუკუნის ფრანგი მწერლის სიმონ დე ბოვუარის მოსწრებული გამოთქმა: „ქალად არ იბადებიან, ქალად იქცევიან“... აქ ქალად ქცევაში აღზრდისა და საზოგადოების მსოფლმხედველობის გავლენაა ნაგულისხმევი, რაც ხელს უწყობს ქალის მეორეხარისხოვან ადამიანად ჩამოყალიბებას. კი, რა თქმა უნდა, საზოგადოებას და მის კულტურას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ზოგადად, სამწუხაროდ, ჩემს მეტად პატივსაცემ მწერალს ვერ დავეთანხები. განა შეიძლება ნებისმიერი ბავშვის გენიოსად აღზრდა მიუხედავად იმისა, რაც არ უნდა მოინდომოს აღმზრდელმა? არა, გენიოსად იბადებიან!

ასევე უდავოდ მიმაჩნია, რომ ქალად იბადებიან (ბუნება იშვიათად თუ ცდება!) და ეს დიდი სიხარულია. ქალსაც და კაცსაც თავისი სარგო პასუხისმგებლობა მიანიჭა უფალმა. ქალად იბადებიან, ღმერთის წყალობით, მაგრამ როგორ შეასრულებენს თავის მეტისმეტად საპატიო როლს მას საზოგადოება და სახელმწიფო, ეს უკვე სხვა საკითხია. შეიძლება, ბევრს უცნაურად მოეჩვენოს ჩემი მოსაზრებები, მაინც არ შემიძლია, სათქმელი არ ვთქვა დღევანდელ, თანამედროვე სოციალურ გარემოზე, სადაც გენდერულ თანასწორუფლებიანობაზე საუბრობენ და ამ დროს ქალი ისეთივე კაპიტალია, როგორც რაიმე საბადო, წიაღისეული, რომლისგანაც შეიძლება მატერიალური სარგებელი მიიღო. ამაზე მეტყველებენ არა მარტო ღამის კლუბები თუ ბორდელები,არამედ, ეგრეთ წოდებული, სილამაზის კონკურსები, პოდიუმები და მსგავსი ღონისძიებები, რომელსაც ქალი გაჰყავს ბაზარზე ვინმე სიმდიდრისა და ქონების მოყვარული პირისთვის გარკვეული კაპიტალის მოსაგებ-მოსაპოვებლად. ასე ხდება მთელ მსოფლიოში, მოწინავე, განვითარებულ თუ ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში... იმ ქვეყნებშიც, სადაც დემოკრატიულობაზე და ქალის უფლებების დაცვაზე თავს დებენ. მაგრამ რა არის ეს უფლებები, ნუთუ, ის, რასაც ამორალობას და უზნეობას ვეძახით – ესეც უფლებებია? ყველგან, ქალის სილამაზეს აღიქვამენ არცთუ შთამაგონებელ, რომანტიულ ღირებულებად, პირდაპირი გაგებით, მარტივ, ფულად ღირებულებად. ძალიან რთულ საკითხს მივადექით. რას მოიცავს ადამიანის უფლებები? სად იწყება და სად მთავრდება იგი? ქვეყნის უმაღლესი კანონი – კონსტიტუცია და ზოგადად კანონები აწესრიგებენ ყოველივე ამასო. მაგრამ, როგორც ჩანს, კანონებზე უფრო მეტი რაღაცაა საჭირო, რამაც სასურველი, თანამედროვე საზოგადოებისთვის შესაფერი წესრიგი შემოიტანოს ადამიანურ ყოფაში.

დავუბრუნდეთ ჩვენს სატკივარს, ქალებზე ძალადობას, მკვლელობებს. გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ასეთ ტრაგიკულ მოვლენებს ახსნა უპოვეს. თურმე, ქართველმა ქალებმა ქალსა და კაცს შორის დღემდე არსებული ტრადიციის – ცოლი უნდა ემორჩილებოდეს ქმარს, – შეცვლა მოინდომეს, რასაც დრომაც, დღევანდელობამაც შეუწყო ხელი, „საქმე ისაა, რომ საქართველო გახსნის პროცესშია, ის ჯერ არ გამხდარა ღია მაგრამ, დიახ, ძველი წესრიგი დაიმსხვრა, ძველი წესრიგის ერთ-ერთი მთავარი იდეა იყო ის, რომ ქალი მამაკაცს ექვემდებარება და ემორჩილება, ასე იყო შუა საუკუნეებშიც, ასე იყო რუსეთის იმპერიაშიც, ასე იყო საბჭოთა კავშირშიც (დეკლარირებულად არა, მაგრამ რეალურად – ნამდვილად). და, აი, დღეს ასპარეზზე გამოდიან ქალები, რომლებსაც თავად უნდათ თავიანთი ცხოვრების მოწყობა, მათ ეს გამოსდით“... ასე ხსნის ამ ტრაგიკული მოვლენების მიზეზს ახალგაზრდა მკვლევარი, პროფესორი გიგი ზედანია, როდესაც ილიაუნში მომხდარი უბედური შემთხვევის, ახალგაზრდა ლექტორი ქალბატონის თვითმკვლელი მეუღლის ტყვიით განგმირვის ფაქტზე საუბრობს. თითქოს ეთანხმები, მაგრამ საქმე ის არის, რომ ძალადობას, როგორც უკუღმართ თვისებას ადამიანში, გაცილებით უფრო ღრმა ფესვები აქვს, და არა მგონია მხოლოდ საზოგადოების განვითარების, მისი ერთი სახეობიდან მეორეში, ანუ უკეთესში გადასვლის პროცესს ექვემდებარებოდეს.

საქართველოზე თუ ვისაუბრებთ, ოჯახებში ძალადობა ხდებოდა ადრეც... აგრესია, ფიზიკური განადგურების სახით ვლინდებოდა ამ სამოციოდე წლის წინათაც და უფრო ადრეულ საუკუნეებშიც, ესე იგი, ძველ საქართველოშიც, ანუ მაშინაც, როდესაც ყველაფერი ადათ-წესებით იყო დარეგულირებული... დიახ, ადათ-წესებით, რომელიც კანონზე უფრო მტკიცე იყო მაშინდელ ადამიანზე ზემოქმედების თვალსაზრისით! დღევანდელი ცივილიზაცია, ყველა ქვეყანაში კანონებით აწესრიგებს საზოგადოებას. მაგრამ კანონებთან ერთად აუცილებელია ცოდნა, განათლება, აღზრდა – ანუ ყველაფერი ის, რასაც მოაქვს კაცთმოყვარეობა. „ადამიანში ყველაზე ღირებული მხარე მისი გონებაა (ესაა ადამიანში ღვთაებრივი) და მას ემსახურება ყველა ადამიანური სათნოება, სწორედ გონების განვითარებაა ადამიანის ცხოვრების საზრისი და დანიშნულება...“ ეს აზრია გატარებული მეთვრამეტე საუკუნის ინგლისელი მკვლევრის მერი უოლსტონკრაფტის ნაშრომში ქალთა უფლებების დაცვის შესახებ. დღეს არავინ არ დავობს ამაზე. განათლება და აღზრდა ის რეალიებია, რასაც შეუძლია, კაცობრიობას წინსვლისკენ უბიძგოს. მაგრამ, წერილის დასწყისში ჩვენ შევეხეთ შემოქმედის მიერ ადამიანში ჩადებულ კოდს და ქალის განსაკუთრებულობას, რისი უგულებელყოფაც წარმოუდგენელია. ქალს ღვთაებამ დააკისრა კაცობრიობის გამრავლების უნარი. თუ ჩვენ მივიჩნევთ და უდავოს ვხდით, რომ კაცი და ქალი ორივე ადამიანია, ამავე დროს, ამ ორ სქესს შორის მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს შეუძლია სიცოცხლის მარადისობის უზრუნველყოფა, ესე იგი მეტი ვალდებულება აკისრია ადამიანთა მოდგმის წინაშე, მაშინ, გამოდის რომ ქალი „მეტი ადამიანია“ ვიდრე მამაკაცი. იქნებ, ამ ნიშნით გამოყვეს ქალები, როდესაც ცივილიზებული სახელმწიფოების კანონმდებლობებში გაჩნდა ტრაქტატი – ქალთა უფლებები და მისი დაცვა და არა ზოგადად ადამიანის უფლებების დაცვა? მე მაინც ეს უკანასკნელი, ანუ ტერმინი „ადამიანის უფლებების“ დაცვა მიმაჩნია მართებულად იმ შემთხვევაში, თუ გვინდა ვაღიაროთ ორივე სქესის თანასწორუფლებიანობა. და, როდესაც უკვე დავაკანონებთ ტერმინს – „ქალთა უფლებების დაცვა“, ამით უკვე ვაღიარებთ და დავაკანონებთ ქალის სისუსტეს თუ არა, განსხვავებულობას ხომ! ყველას, თითოეულ ჩვენგანს, ქალს თუ კაცს გვაქვს უფლება სიცოცხლისა, ჯანმრთელობისა, ცხოვრებისა, სამსახურისა, საცხოვრისისა, დაოჯახებისა, ერთი სიტყვით, ადამიანური ყოფისა და ყოველივე ამას უნდა აწესრიგებდეს სახელმწიფო, თუ ქვეყანას აქვს პრეტენზია იმისა, რომ იგი სახელმწიფოა. კარგა ხანია, ჩვენს ქვეყანაში ადამიანები ერთმანეთის მიმართ ავლენენ აგრესიას და იყენებენ ძალადობის უკიდურეს ფორმასაც – მკვლელობას! და გვაწუხებს, რატომ ხდება ეს ასე, რატომ იღუპებიან ასე უაზროდ ადამიანები, მაგრამ რატომ არ გვაწუხებს მომრავლება ისეთი ადამიანებისა, რომლებთაც არა აქვთ სამსახური, რატომ არ გვაწუხებს მომრავლება ახალგაზრდებისა, რომლებიც დროულად ვერ ქორწინდებიან, არა აქვთ არავითარი შემოსავალი, უმეტეს შემთხვევაში, არა აქვთ საკუთარი ჭერი. აი, მაგალითად, მშობლებმა ერთოთახიან ბინაში (გნებავთ, სამოთახიანში!), დიდი შრომით და გაჭირვებით გაზარდეს შვილი (შეიძლება, შვილები), ასწავლეს, ცოდნა და განათლება მიაღებინეს, მაგრამ ვერ დააქორწინეს. ვერ ქორწინდებიან ახალგაზრდები. უსახსროდ და უსაქმოდ, უმუშევრად დარჩენილებმა სად შექმნან ახალი ოჯახი, ყველა ხომ საზღვარგარეთ ვერ გაიქცევა! სად არის ამ დროს სახელმწიფო, გაკეთა მან რაიმე, იმისათვის, რომ უზრუნველეყო ახალი ოჯახების შექმნა, ადამიანების დასაქმება? იქნებ აქ ვეძებოთ მიზეზი მკვლელობების გახშირებისა... ქალთა უფლებებზე ალაპარაკდნენ, განა მამაკაცების უფლებები არის კი დაცული, ან ბავშვების, ან მოხუცების? რატომ მრავლდებიან ჩვენში მათხოვრები, ვიცით კი, რამდენი მათხოვარია საქართველოში? მათხოვრები ამერიკაშიც არიანო, კაპიტალისტურმა წყობამ ასე იცისო, – აი, გამართლება! კი, ბატონო, იქ შეიძლება ბევრი რამ არის... იმ ქვეყანაზე იმ ქვეყნის პატრონმა იფიქროს, არ შეიძლება ვეებერთელა ქვეყნის ცხოვრების წესი მაინცდამაინც მოარგო შენს ქვეყანას. გვეუბნებიან, შეიძლებაო, ამ პასუხით დავკმაყოფილდეთ და დავმშვიდდეთ?

ერთი სიტყვით, ბევრი რამ არის სათქმელი, მაგრამ ამ წერილში ყველაფერზე ვერ ვისაუბრებ. ადამიანის სიცოცხლის უგულებელყოფა დიდი დანაშაულია, გამოუსწორებელი დანაშაული, მაგრამ მაინც აუცილებელია, გავიგოთ რასთან გვაქვს საქმე, იქნებ მკვლელი ფსიქოლოგიურად დაავადებულია. იქნებ... ვინ იცის რა ხდება... არ შეიძლება თვალი დავუხუჭოთ იმ უსამართლობას, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება არა მარტო გარედან, არამედ, შიგნიდანაც და ეს არის მთავარი. უსამართლობა ეკონომიკურ სიდუხჭირეზე მეტად თუ არა, არანაკლებ ჩაგრავს ადამიანს...

გულნარა სტურუა

კარგა ხანია, ჩვენს ქვეყანაში ადამიანები ერთმანეთის მიმართ ავლენენ აგრესიას და იყენებენ ძალადობის უკიდურეს ფორმასაც – მკვლელობას! და გვაწუხებს, რატომ ხდება ეს ასე, რატომ იღუპებიან ასე უაზროდ ადამიანები, მაგრამ რატომ არ გვაწუხებს მომრავლება ისეთი ადამიანებისა, რომლებთაც არა აქვთ სამსახური, რატომ არ გვაწუხებს მომრავლება ახალგაზრდებისა, რომლებიც დროულად ვერ ქორწინდებიან, არა აქვთ არავითარი შემოსავალი, უმეტეს შემთხვევაში, არა აქვთ საკუთარი ჭერი.

სად არის ამ დროს სახელმწიფო, გააკეთა მან რაიმე, იმისათვის, რომ უზრუნველეყო ახალი ოჯახების შექმნა, ადამიანების დასაქმება? იქნებ აქ ვეძებოთ მიზეზი მკვლელობების გახშირებისა... ქალთა უფლებებზე ალაპარაკდნენ, განა მამაკაცების უფლებები არის კი დაცული, ან ბავშვების, ან მოხუცების?

კვირაძალს საკითხავი

ციცერონი ამბობდა: „ორატორის უდიდესი ღირსებაა არა მარტო თქმა იმისა, რაც საჭიროა, არამედ უთქმელობაც იმისა, რაც არაა სათქმელი“. ამ დებულებას უახლოვდება საადის აფორიზმიც: „ადამიანი ცხოველზე მაღლა დგას მეტყველების უნარით, მაგრამ მასზე დაბლა დგას, თუ უმართებულოდ მეტყველებს“.

რა უნდა გავაკეთოთ, ღვინო წყლად რომ არ იქცეს?

თავის დროზე ალფრედ დე მიუსე პრუსიასთან ომში პატივაყრილ ფრანგებს ასწავლიდა – ენა იმისთვის გვაქვს, რომ საკუთარი აზრის დამალვა შევძლოთო. ჩვენ კი, ჩვენი მხრივ, დავსძენდით, რომ ეს უნდა გავაკეთოთ არა მარტო აზრების დამალვის მიზნით, რომ მტერი არ ვაფხიზლოთ, წამდაუწუმ წამოსროლილი სიტყვებით ჩვენში დაბუდებული რისხვა არ განელდეს, ღვინო წყლად არ იქცეს. როგორც ილია იტყოდა, დიდი გრძნობა უტყვია და მუნჯი, ხოლო პატარა დაუდგრომელი და ლაქლაქა.



ნამდვილი ძალა კი, რომელიც საქმედ უნდა გაცხადდეს, მხოლოდ დიდი გრძნობის მატარებელ ხალხს შესწევს.

როდესაც ვიღაცაზე უკმაყოფილონი ვართ და მოძალებული ემოციისგან წამდაუწუმ წამოსროლილი სიტყვებისგან თავს ვერ ვიკავებთ, ურიგო არ იქნება, ისტორიიდან მოხმობილი ეს მაგალითები გვახსოვდეს:

ცნობილი ბერძენი კანონმდებელი ლიკურგე თავის თანამოქალაქე სპარტელებს ურჩევდა, ერთსა და იმავე მტერზე ხშირად არ ელაშქრათ, რათა უკანასკნელნი თავდაცვაში არ გაწაფულიყვნენ. ამიტომ იყო, რომ შემდგომშიო, – წერს პლუტარქე, – მეტისმეტად კიცხავდნენ მეფე აგესილაეს, რომელმაც ბეოტიაში ხშირი ლაშქრობებითა და თავდასხმებით თებელები, სპარტელთადარი მეომრები გახადა. თებელებთან ომში დაჭრილი აგესილაე რომ იხილა, სპარტელმა სახელმწიფო მოღვაწემ ანტალკიდამ, უთხრა:

– კარგი ჯილდო კი მიიღე თებელებისაგან, რომელთაც მაშინ ასწავლე ბრძოლა, როცა ეს არ უნდოდათ და არც იცოდნენ.

მაგალითი მეორე: როდესაც მოწინააღმდეგის გახშირებულმა თავდასხმებმა რომაელებს სიმშვიდე დაურღვიეს, ერთ დღესაც თავმობეზრებულმა სარდალმა გაიუს მარიუსმა პონტოს სახელგანთქმულ მეფე მითრიდატე VI ევპატორს წერილით მიმართა:

– მეფეო, ან გახდით რომაელებზე ძლიერი, თუ არა და, კეთილი ინებეთ და, დაემორჩილეთ რომაულ კანონებს!

მაგალითი მესამე: ეს, ამჯერად, ცივი ომის პერიოდს ეხება, როდესაც დაპირისპირება აშშ-სა და სსრკ-ს შორის სულ უფრო და უფრო მძაფრდებოდა. ვერც ერთი მათგანი ვერ ახერხებდა, ყოფილიყო მეტოქეზე ძლიერი და არც დათმობა სურდა. ამ სიტუაციისთვის ამერიკის მაშინდელმა სახელმწიფო მდივანმა ჯ.ფ. დალესმა „ძალის პოზიციიდან“ კონცეფცია შეიმუშავა, რომელმაც ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი განსაზღვრა. აი, მისი ნააზრევიც:

„იმის უნარი, რომ იყო ომის ზღვარზე, მაგრამ არ აღმოჩნდე მასში ჩართული, წარმოადგენს აუცილებელ ხელოვნებას. თუ თქვენ ვერ შეძლებთ მის დაუფლებას, თქვენ აღმოჩნდებით ომში ჩათრეული, ხოლო, თუ არ გაატარებთ ამგვარ პოლიტიკას, მაშინ დაიღუპებით.“

ამ რჩევამ დიდ სახელმწიფოთა „მეტოქეობის სტრატეგიაში,“ მართალია, გაამართლა და აშშ- ს მისცა შესაძლებლობა დაემარცხებინა ე.წ.„ბოროტების იმპერია,“ მაგრამ ესეცაა: ჩვენისთანა სუსტი და დაუცველი ქვეყნისთვის ურთიერთობის ეს სტილი ოკუპანტთან, ვისთანაც არც დათმობა გვსურს და ვერც მეტოქეობას ვახერხებთ, რამდენად გაამართლებს?

როცა შენს ირგვლივ უსამართლობას ხედავ

ძველ საბერძნეთში მონობა აღიქმებოდა როგორც რაღაც თავისთავადი, თავისუფლება კი ითვლებოდა საჩუქრად, რომელიც არ იყო ყველასათვის ხელმისაწვდომი. არისტოტელე ვარაუდობდა, რომ **„ერთნი ბუნებრივად არიან თავისუფალნი, ხოლო მეორენი – ბუნებრივად მონები... და რომ მათი მონური მდგომარეობა იყო სამართლიანი.“**

იცით, ეს რატომ თქვა დიდმა ფილოსოფოსმა? იმიტომ, რომ დღესაც „ადამიანთა დიდი ნაწილი უმეტესად ემორჩილება საჭიროებას, ვიდრე გონიერებას.“ მართალია, ამით ისინი საჭირონი და სასარგებლონი არიან პატრონებისთვის, მაგრამ ქვეყნისთვის ნამდვილ უბედურებას წარმოადგენენ, რადგანაც ასეთი ელექტორატის ყოლით ყოველთვის იმ ხელისუფლებას ვიღებთ, რასაც მათი „წყალობით“ ვიმსახურებთ.

როცა შენს ირგვლივ უსამართლობას ხედავ და ჩუმად ხარ, მონა ხარ, აბა ვინა ხარ! მერე რა თუ, როცა უსამართლობა თავად შეგეხო, გაბრაზდი, მაინც არარაობა ხარ, რადგანაც: **„გაბრაზება ყველას შეუძლია, ეს ძალზე იოლია, მაგრამ გაბრაზება მასზე, ვისზეც საჭიროა, როცა საჭიროა და იმ მიზეზით, რომლითაც საჭიროა, უნდა იცოდე, რომ ყველას არ შეუძლია.“**

ყოველთვის ასე რატომ ხდება?

საქართველოში მიმართვის ორი ფორმა გამოიყენება: „შენ“ და „თქვენ“. შესაძლოა, ყველამ არ იცოდეს, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე ჩვენთან მიმართვის მხოლოდ ერთი ფორმა იყო – შენ. შენობით მიმართავდა ერი და ბერი ერთმანეთს, ქვეშევრდომი მეფეს და ა.შ. დღესაც ღმერთს ქართველები შენობით მივმართავთ. ქართულ მეტყველებაში მიმართვა „თქვენ“ თანდათან დამკვიდრდა, რისი ყველაზე დიდი მოწინააღმდეგეც დიმიტრი ყიფიანი იყო. მისი განმარტებით: თქვენ მიმართვა უცხოეთში ცივი ხალხის მოფიქრებული და დამკვიდრებული იყო. ჩვენთან კი მას ტრადიციულად თბილ დამოკიდებულებაში ერთგვარი დისტანციურობა შემოჰქონდა. საბოლოოდ, მაინც მივიღეთ ის, რაც გვაქვს.

რაც შეეხება უცხოეთს: თუ ინგლისში მიმართვის მხოლოდ ერთი ფორმა გამოიყენება – თქვენ, შვედეთსა და პოლონეთში უცხოსათვის, განსაკუთრებით, ასაკით უფროსისათვის, თქვენობით მიმართვა არათავაზიანად ითვლება. ამისათვის უფრო ზრდილობიანია მესამე პირის ფორმა. მაგალითად, „ქალბატონ მასწავლებელს სთხოვენ ტელეფონთან“ და სხვ.

იმედია, 21-ე საუკუნის ქართველი მიბაძვისთვის ამ შემთხვევასაც გამოიყენებს

საკმაოდ ცნობილმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ სიმონ ქვარიანმა საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ ქართული ანბანის რეორგანიზაცია მოინდომა, მოითხოვა: ძ, ჭ, ყ... ამოვიღოთ ენიდან, რადგანაც უცხოს ყურს ჭრისო. აკაკიმ უპასუხა, კარგი, რაკი „ძ“ არ მოგწონს, ამის შემდეგ მოგმართავ „ვირფასო სიმონ“!

ვიკითხოთ: რატომ ხდება ყოველთვის ასე? იმიტომ ხომ არა, რომ ჩვენში მშვენიერს, ყოველთვის „უცხოს“ უწოდებენ.

მრავალნი არიან წვეულნი და მცირედნი - რჩეულნი

სოკრატეს მოწაფეები ეკითხებიან:

– სტუმრებს ელოდები, სამზადისი კი მცირეა!...

– თუ ღირსეულები იქნებიან, საკმარისია, თუ უღირსები – ზედმეტიც! – პასუხობს მასწავლებელი.

პროფესია, რომელიც ამოუწურავ შესაძლებლობას იძლევა

ერთხანობას, ჩემს ყმაწვილკაცობაში, გულაცრუებული ვიყავი საკუთარ პროფესიაზე და ვაიდიალებდი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, რადგანაც იქ ისტორიის სწავლებისგან განსხვავებით ყველაფერი მეტ-ნაკლებად მკაფიოდ და გარკვევით არის მოცემული. დიდი დრო დამჭირდა იმის გასაგებად, თუ რა შეიძლებოდა გამხდარიყო ჩემთვის მნიშვნელოვანი.

ვისაც ჰგონია, რომ რაკი 2+2=4 არის გაგების დასასრული, ღრმად შემცდარია. 2+2=4-ია არითმეტიკაში, მაგრამ საკმარისია ორჯერ-ორის ფორმულის საშუალებით ვცადოთ სოციალურ ველში დატრიალებული პროცესების, ცხოვრების ირაციონალური გამოვლინებების ახსნა, გაგება და, - კატასტროფა გარდაუვალია. ასე რომ, ორჯერ-ორი რომ ყველგან და ყველაფერში უდრიდეს ოთხს, სიცოცხლე შეწყდებოდა. ამიტომ ჩვენთვის, ჰუმანიტარებისთვის იგი ასოცირებულია არა საზღვართან, მიჯნასთან, დასასრულთან, არამედ უსასრულობასთან, რომლის ახსნა-განმარტებისთვის თავად ისტორიკოსის პროფესია ამოუწურავ შესაძლებლობებს იძლევა.

როცა ყველაფერი დაკარგულია, ღირსების გარდა

1525 წელს საფრანგეთის მეფე ფრანსუა I-მა ბრძოლა წააგო ესპანეთის მეფე კარლოს V-სთან. პავიასთან გამაცამტვერებელი დამარცხებისა და ტყვედჩავარდნის შემდეგ, მეუღლისადმი მიწერილ წერილში მან შთამომავლობას დაუტოვა ცნობილი ფრაზა: **„ყველაფერი დაკარგულია, ღირსების გარდა.“** ამ ფრაზამ საუკუნეებს გაუძლო, 1837 წელს პირველად იქნა გამოქვეყნებული და მას მერე, დამოუკიდებელი არსებობა და საზრისი შეიძინა. იგი გულისხმობს: ადამიანმა გაიკეთა ყველაფერი რაც შეეძლო, მაგრამ არ დაკარგა საკუთარი ადამიანური ღირსება.

რატომ გაუძლო ამ ფრაზამ საუკუნეებს? იმიტომ, რომ იგი, ფაქტობრივად, დამარცხების სიტუაციების დაძლევის რეცეპტია. ცხოვრება მარტო გამარჯვებებით არ არის მოფენილი, დამარცხებები ცხოვრებაში კიდევ უფრო მეტია და სწორედ მათი დაძლევაა ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევა.

ფრანსუა I-ის ფრაზა გულისხმობს, რომ შესაძლოა, იყო გამარჯვებული, მაგრამ უღირსი, ან პირიქით, იყო დამარცხებული, მაგრამ ღირსეული. ღირსება კი ის საყრდენი წერტილია, რაც დამარცხების დროს, ფეხზე წამოყენების, წელში გამართვის საშუალებას გაძლევს.

1931 წელს რუზველტმა კორუფციის საწინააღმდეგოდ შემოიღო ღირსების კანონი. ჰოლანდიელი ზღვის ყაჩაღის პიტერ ჰაინის ძეგლის კვარცხლბეკზე არის წარწერა: **„ოქრო მირჩევნია ვერცხლს, მაგრამ ყველაფერზე მაღლა ღირსებას ვაყენებ.“**

სიცოცხლე უღირსებოდ უაზრობაა

სწორედ ზნეობრივი არჩევანი ასაზრდოებს ქვეყანას, რადგან ღირსება ზნეობრივი კატეგორიაა და უზნეოდ, უნამუსოდ, თავმოყვარეობის შელახვით არაფერი არ უნდა გინდოდეს.

პირველი მსოფლიო ომის დროს, ფრანგებს ჰყავდათ ეროვნული გმირი, მფრინავი. ავიაცია მაშინ ახლადფეხადგმული იყო. მან გერმანელთა მრავალი თვითმფრინავი ჩამოაგდო, მაგრამ ბოლოს თვითონაც დაიღუპა. მფრინავის მიერ დატოვებული ანდერძით, იგი მშობლიურ სოფელში წაასვენეს, რომელიც ფრონტის ხაზზე მდებარეობდა. დაკრძალვის დღეს, მიუხედავად საშიშროებისა, დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. უეცრად ცაზე გერმანელების თვითმფრინავები გამოჩნდნენ. შიშისგან დამფრთხალი ხალხი მიწას განერთხო. მათთვის მოულოდნელად გერმანელმა მფრინავებმა, რომლებიც ძირს დაეშვნენ, უზარმაზარი ყვავილების გვირგვინი დაასვენეს ცხედართან და უკანვე გაფრინდნენ.

ცნობილია, როგორ დაუკრეს რუსმა ჯარისკაცებმა ტაში, როცა იმამ შამილი მათ ტყვედ ჩაბარდა...

მთავარია, შენი ღირსებით მტერიც მოყვრად აქციო.

მაგრამ ესეცაა, რომ არც ისე ადვილია სხვისი ღირსების დანახვა, ამას მხოლოდ რჩეულები ახერხებენ.

შეგონება

„თუ ვინმე უგუნური შეგეკამათება, დუმილით შეაწყვეტინე ლაყბობა. იცოდე, ყბედს მხოლოდ მუნჯი დაღლის“ (ქეთ-ქაუსი, „ყაბუსნამე“).

წარსული

როცა გონს მოვლენ

ცნობილი ათენელი სახელმწიფო მოღვაწე და ორატორი, დემოსთენე და ათენელი მხედართმთავარი ფოკიონი დაუძინებელი პოლიტიკური მტრები იყვნენ. ერთხელ დემოსთენემ განუცხადა ფოკიონს: „თუ ათენელები გაბრაზდებიან, ისინი შენ ჩამოგახრჩობენ,“ რაზედაც ფოკიონმა უპასუხა: „შენც ასევე, რა თქმა უნდა, როცა გონს მოვლენ.“

განა შეიძლება, პრეზიდენტი მსახიობი არ იყოს?

ხშირად ხდება ხოლმე, ჟურნალისტის დასმულ კითხვებზე რესპონდენტი სხვა საკითხზე გადადის, რასაც განსახილველ პრობლემასთან არსებითი კავშირი არა აქვს. ცნობილი ავტორიტეტების გამონათქვამებიდან მსმენელზე თუ მკითხველზე სარწმუნო არგუმენტის შთაბეჭდილების დატოვება რომ შეეძლოთ, ერთს გავიხსენებდი:

ერთხელ აშშ-ის პრეზიდენტს რონალდ რეიგანს ჰკითხეს: „როგორ შეიძლება მსახიობი პრეზიდენტი იყოს?“ რაზედაც რეიგანმა უპასუხა: „განა შეიძლება პრეზიდენტი მსახიობი არ იყოს?“

ღირსების გრძნობა რომ არ შეილახოს

ისტორიამ ჩიხური სიტუაციიდან გამოსვლის ხერხებისა და მეთოდების მდიდარი გამოცდილება შეგვძინა. მათ რიცხვშია სიტუაცია, როცა გარკვეულ დათმობაზე წასვლა გიწევს ისე, რომ ღირსების გრძნობა არ შეგელახოს. ამის კლასიკური მაგალითია შემდეგი:

როცა ალექსანდრე მაკედონელი მდინარე ჰიპასისთან მივიდა და გადასვლის ბრძანება გასცა, რათა მდინარე განგის ხეობაში მოხვედრილიყო, ჯარმა უარი განაცხადა ბრძანების შესრულებაზე. ალექსანდრე მიხვდა, რომ დაღლილ მხედრობას ვეღარ მოდრეკდა, მაგრამ სიამაყის გამო მათთვის დათმობაც არ სურდა. მან ნათლად გააანალიზა სიტუაცია და მიაგნო გამოსავალს, მისნებს მიმართა. მისი შეგონებით მისნებმა განაცხადეს: შემდგომ ლაშქრობაში წარმატებას ვერ მიაღწევთო. ამ გზით ალექსანდრე ღირსეულად გამოუსხლტა შექმნილ ვითარებას და ამჯერად ბრძანა უკან დახეულიყვნენ.

დიდი მხედართმთავრის ღირსეული თანამებრძოლები

აზიაში ლაშქრობის დაწყების წინ ალექსანდრე მაკედონელმა მთელი სამეფო ქონება თავის მეგობრებს გაუნაწილა. როცა ჰკითხეს: „კი მაგრამ, შენთვის რაღას იტოვებ, მეფეო?“ „იმედს“ – უპასუხა ალექსანდრემ. „მაშინ ჩვენც, შენი თანამოლაშქრენი, მაგას გავინაწილებ-

ლაბირინთებში

თო,“ უთხრეს მთავარსარდალს და უარი თქვეს შემოთავაზებულ ქონებაზე.

ძალიან ბევრი ნიჭიერი პოეტი უნდა ჰყოლოდა მე-12 საუკუნის საქართველოს, რომ მათ შორის საუკეთესო წარმოჩენილიყო გენიალური რუსთაველის სახით. იტალიური რენესანსის ეპოქა მდიდარი რომ არ ყოფილიყო უნიჭიერესი მხატვრებით, ის ვერც ლეონარდოს, მიქელანჯელოს და რაფაელს წარმოშობდა. ასეა ამ შემთხვევაშიც. მაკედონურ ფალანგას მეომრებად პატარა ალექსანდრეები რომ არ ჰყოლოდა, არც ალექსანდრე მაკედონელი შერჩებოდა ისტორიას, რადგან ის 36 ათასი კაცით ვერ დაიპყრობდა მსოფლიოს.

ამიტომ ყურად უნდა ვიღოთ ისტორიის ეს გამოცდილება. ერთი კაცის გამარჯვებაზე კი არ უნდა ვიოცნებოთ, თავად ერი და საზოგადოება უნდა გავხადოთ წარმატებული!

როგორც გივლია, კვლავაც ისე იარე – შენი ქუდით, შენი რწმენით და შენი გზით!

ერთი ამბავი მინდა, მოგიყვეთ, ცნობილ ქართველ მხატვარს ლადო გუდიაშვილს რომ წამოჰყოლია პარიზიდან:

ბატონი ლადოს ერთ-ერთი ახალგაზრდობის დროინდელი ნამუშევარი „კინტოების ქეიფი ქალთან,“ რომელიც პარიზის „ზამთრის სალონში“ გამოფინეს, თურმე, სახელგანთქმულ ესპანელ მხატვარ იგნასიო სულოაგას მოეწონა. ესპანელი მხატვარი ლადო გუდიაშვილს თავის პატარა სახელოსნოში ეწვია, მისგან რამდენიმე სურათი იყიდა და წავიდა.

გამოირკვა, რომ სულოაგას გუდიაშვილის ქუდი დაუხურავს, ხოლო თავისი ლადოს ბინაში დარჩენია. ლადომ ქუდი დაიხურა და უკან გამოუდგა მისი ბინიდან ახალგასულ სტუმარს. კარგა ხნის სირბილის შემდეგ დაეწია მას, გაუღიმა და მოკრძალებით უამბო შემთხვევით ქუდების შეცვლის თაობაზე. სულოაგამ გაკვირვებით აზიდა წარბები და გაეცინა.

— ნუთუ მართლა? — ამ კითხვაში იგრძნობოდა სიხარულიც, გაკვირვებაც და ბავშვური კმაყოფილებაც იმით, რაც მომხდარიყო.

— დიახ, მაესტრო!

— მერე ამისთვის შეწუხდით? — გეტყობათ, გირბენიათ კიდეც.

— დიახ, ცოტა...

— უნდა გამოგიტყდეთ, რომ თქვენი საქციელი დიდად მაოცებს! სხვა ასე არ მოიქცეოდა. ცნობილი ადამიანების ნივთებზე სწორედ რომ ნადირობენ ხოლმე, თქვენ კი შემთხვევამ ხელში ჩაგიგდოთ ჩემი ქუდი და..

— მაესტრო... — ცოტა დარცხვენით, უხერხულად წამოიწყო სიტყვა გუდიაშვილმა. იფიქრა, ჩემს ძვირფას სტუმარს უნებლიედ ხომ არაფერი ვაწყენინეო, მაგრამ სულოაგამ ეჭვი უმალ გაუფანტა. მისი ქუდი, რომელიც მაესტროს შეცდომით თვითონ დაეხურა, კვლავ გუდიაშვილს დაახურა. ასევე მოიქცა ლადოც, ეს იყო მეტად უცნაური და მხიარული წუთი ქუდების საზეიმო გაცვლისა — დიდების მწვერვალზე ასულ ესპანელ იგნასიო სულოაგასა და ამ მწვერვალისკენ მიმავალ ქართველ ლადო გუდიაშვილს შორის.

— სენიორ ლადო! ის, რაც მოხდა, კარგის მომასწავებელია! — სულოაგამ გაშლილი ხელი გუდიაშვილს მხარზე დაადო და ნათქვამს ბეჯითად დაუმატა: — სხვანაირად არც შეიძლებოდა! როგორც გივლია, კვლავაც ისე იარე — შენი ქუდით, შენი რწმენით და შენი გზით!

დათმობა გამარჯვებისათვის

ადამიანთა ურთიერთობაში ყოველთვის გამარჯვების მიღწევა შეუძლებელია. ამიტომ, ზოგჯერ პარტნიორის ყურადღების მოსადუნებლად, სასარგებლოა წინასწარგამიზნულ, შეგნებულ დათმობაზე წასვლა და უფრო მთავარ საკითხზე მეტად მომზადება. ვფიქრობთ, აღნიშნულის კარგი ნიმუშია დაოსიზმის ფუძემდებლის, დიდი ჩინელი მოაზროვნის ლაო-ძის შეგონება: „რაიმე რომ შევკუმშოთ, ჯერ უნდა გავაფართოვოთ. რაიმე რომ დავასუსტოთ, ჯერ უნდა გავაძლიეროთ. რაიმე რომ მოვსპოთ, ჯერ უნდა აღმოვაცენოთ. რაიმე რომ მოვიმკათ, ჯერ უნდა გავცეთ.“

როცა პოლიტიკას კულტურის ნაწილად არ მიიჩნევ

შეიძლება, ბევრმა არ იცოდეს, რომ, თუ კულტურას ფართო მნიშვნელობით გავიაზრებთ, პოლიტიკა კულტურის ნაწილია. კულტურა არის პოლიტიკასთან ყველაზე ახლო მდგომი საზოგადოებრივი სისტემა. ამიტომაც საქართველომ უნდა აშენოს პოლიტიკისა და კულტურის ერთიანი სისტემა. ამჟამინდელ ქართულ სახელმწიფოს არა აქვს მკაფიო შეხედულებები კულტურის განვითარებაზე, რადგანაც ვერ შესძლო შეექმნა სახელმწიფოს მართვის ისეთი მოდელი, რომელიც ეროვნულ ნიადაგზე იქნებოდა დაფუძნებული, როგორც საკუთარი პოლიტიკური კულტურის განვითარების ლოგიკური შედეგი.

თუ ამ მიმართულებების ჭრილში ავიღებთ საქართველოს კონსტიტუციას, ის სრულ ვაკუუმშია ჩვენს პოლიტიკურ ტრადიციებთან და ქართველთა ეთნოფსიქოლოგიასთან. ის არ არის მიმართულ ური ურთერთქმედებაზე ჩვენს კულტურასთან. ყოველივე ამის შედეგი კი ვლინდება სახელისუფლებო შტოებს შორის მუდმივ დაპირისპირებაში, რისი თვითმხილველი და მომსწრენიც ვართ ყოველდღიურობაში.

შეხსენება

იმ პოლიტიკოსებმა, რომლებიც აგდებულად ეკიდებიან განათლებისა და მეცნიერების საკითხებს, უნდა იცოდნენ, რომ სახელმწიფოს ბედისწერა ყალიბდება სკოლასა და უნივერსიტეტში და არა პარლამენტსა და მთავრობაში.

ამიტომაც ამბობდა უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე უინსტონ ჩერჩილი „სკოლის მასწავლებელი ისეთ ძალაუფლებას ფლობს, რომელზედაც პრემიერ-მინისტრები მხოლოდ ოცნებობენ“.

სხვის დაკრულზე ბუქნაობას რომ გადავეჩვიოთ

XIX საუკუნის 50-იან წლებში ინგლისის პრემიერ-მინისტრ პალმერსტონს ეკუთვნის სიტყვები, რომელიც პოლიტიკური ფილოსოფიის ქვაკუთხედად იქცა: **„ინგლისს არა ჰყავს მუდმივი მეგობრები და მტრები, ინგლისს აქვს მუდმივი ინტერესები.“**

სანამ პალმერსტონის ამ სიტყვებს თითოეული ქართველი გულისფიცარზე არ ამოიკვეთს, მანამდე ჩვენი საშველი არ დადგება.

რატომ? იმიტომ, რომ ჩვენი უბედურება ეგ არის, სხვის დაკრულზე ბუქნაობა გვიყვარს. ამიტომაცაა, რომ საქართველოს მუსრს ავლებდა ყოველთვის „სხვის ქვეყნებში ატეხილი ჭირი.“

აი, ვინ და რა გვჭირდება დღეს!

სუნ ძი გენიალურ ნაშრომში „ომის ხელოვნება“ გამარჯვების ხუთი ფაქტორიდან ყურადღებას ამახვილებს ყველაზე მთავარზე:

„მტერზე უბრძოლველად გამარჯვება — აი დიდების მწვერვალი“. დასანანია, რომ დღემდე სათანადოდ შეუფასებელია გიორგი ბრწყინვალის დამსახურება ქვეყნის წინაშე. მას დიდგორი არ დასჭირვებია, ისე განდევნა მონღოლები საქართველოდან და აღგვიდგინა დაკარგული ოქროს ხანა. ჩემთვის პირადად გიორგი V, საქართველოს ისტორიის ყველა დროის, ყველაზე დიდი პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწეა.

აი, ვინ და რა გვჭირდება დღეს!

თუ წარსულს ზურგს შეაქცევ...

ერთი მეტად საინტერესო ფაქტი იაპონელთა ცხოვრებიდან: სამურაის სიტყვას იჯერებდნენ ყოველგვარი წერილობითი გარანტის გარეშე. სამურაი ფიცს არ დებდა — ეს ღირსების შელახვად ითვლებოდა. ღირსების ასეთი გაგება აისახა იაპონური ენის ძირითად ლექსიკურ ფონდშიც. იაპონურ ენაში არ არსებობს სიტყვა „სიცრუე.“ სიტყვა „უსი“ იხმარება როგორც სიმართლის (მაკოტო), ანდა ფაქტის (ჰანტო) უარყოფა.

ჩვენთან რა ხდება? დღეს თუ კაცს სიტყვა კაცური არ დაამატე, შეიძლება სიყალბეში შეიტანოს ვინმემ ეჭვი. მე პირადად მეზიზღება სიტყვა კაცური, ისევე როგორც ყოველწუთს დაფიცება ან დაგინება შენი სიმართლის დასამტკიცებლად, მაგრამ რას იზამ, ესაა ჩვენი დღევანდელობის სახე.

იაპონელებს ღირსების გრძნობა საჩუქრად არ მისცემიათ. იგი ციდან ჩამოვარდნილი ნობათი არ ყოფილა. ეს თვისება რომ შეეძინათ, იაპონელები დღენიადაგ ზრუნავდნენ სრულყოფისათვის, სხეულისა და სულის გამოწრთობაზე. ყოველივე ამისთვის მათ ბუსიდო შექმნეს. თუ თავდაპირველად ბუსიდო იყო „მეომრის გზა,“ იგი შემდგომ „ერის გზად“ გადაიქცა. ბუსიდოს ჭეშმარიტი აზრი, უწინარესად, წინაპრების კულტს ემყარება. იაპონელთა ნაციონალური რელიგია სინთოიზმი ასწავლის, რომ თავისი სიცოცხლით ყოველი იაპონელი წინაპართა მიმართ ვალშია.

თუ იაპონელთა ეთნოფსიქოლოგიის ფორმირებაში ბუსიდო კლასიკურ ნიმუშად გამოდგება, ქართველთა თვითშეგნების ჩამოყალიბებაში არანაკლები როლი „ქართლის ცხოვრებამ“ შეასრულა, რომლის შექმნა-შედგენა შვიდასი წელი გრძელდებოდა. როგორც წერის ხანგრძლივობით, ისე თაობების აღზრდაში მისი როლითა და მნიშვნელობით მას სხვა ხალხთა კულტურებში ანალოგი ძნელად თუ მოეპოვება. რას გვასწავლის ეს დიდი საისტორიო კრებული? ეროვნულ ღირსებას, ქვეყნის ერთგულებას, კავკასიელ ხალხთან ერთად ქართველთა ერთიანობის აუცილებლობას, სიკვდილის დათრგუნვას, სიმამაცეს, თვითსრულყოფას...

ძნელია ამ ყველაფრის დანახვა, მით უმეტეს თუ წარსულს ზურგს შეაქცევ...

ხალხის გაუნათლებლობა უფრო ძვირი ჯდება

როდესაც რონალდ რეიგანმა განათლების პროგრამის სახელმწიფო დაფინანსების შემცირება მოითხოვა, ჰარვარდის უნივერსიტეტის ერთმა პროფესორმა მისწერა: „თქვენ მიგაჩნიათ, რომ განათლება სახელმწიფოს ძვირი უჯდება, დათვალეთ, რა დაჯდება ხალხის გაუნათლებლობა!“

შედეგი: რეიგანმა კანონპროექტი სენატიდან გაითხოვა.

გიორგი მჭედლიშვილი

◎ ქორეოგრაფია

„მამული“ კვლავ სცენაზეა

ძართული ცეკვის ანსამბლ „მამულს“ ეროვნულ გვარდიასთან შობილს უწოდებენ, რადგან იგი ეროვნულ გვარდიასთან ერთად შეიქმნა და პირველი დღიდანვე ჩაერთო მის ცხოვრებაში.

ანსამბლმა გახსნა გვარდიის პირველი აღლუმი, აქტიურად მონაწილეობდა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში საომარ მოქმედებებში. ფრონტის წინა ხაზზე ატარებდა კონცერტებს მებრძოლთა სულისკვეთების ასამაღლებლად. ამ კონცერტების დროს ანსამბლის ორი წევრი დაიღუპა.

ჩატარებული აქვთ კონცერტები თურქეთის, ესპანეთის, ეკვადორის, პერუს ჯარისკაცისთვის. დამსახურებული აქვს „გრან პრი“ გერმანიაში გამართულ მსოფლიოს სამხედრო მუსიკალურ ფესტივალზე და ესპანეთში მსოფლიოს ფოლკორულ ფესტივალზე.

ანსამბლი დიდი წარმატებით გამოდიოდა იტალიაში, კოლუმბიაში, ვენესუელაში, ბოლივიაში, პოლონეთში, კარიბის კუნძულებზე, ესპანეთში, ინგლისში... ყველა ქვეყანაში აღნიშნავდნენ ანსამბლის მაღალმხატვრულ დონეს, ორიგინალურ ქორეოგრაფიას, ბრწყინვალე ტექნიკას, ცეკვების მრავალფეროვნებასა და, რაც მთავარია, მაღალ დისციპლინას.

ანსამბლის პროგრამა ყოველთვის გამოირჩეოდა სიუხვით, მრავალფეროვნებითა და ორიგინალობით.

ქართველმა მოცეკვავეებმა მადლობა დაიმსახურეს ამერიკის ინდიელ მოქალაქეთა გაერთიანებისგან „საარსებო საშუალებებს მოკლებული ბავშვებისთვის“ კარტახენაში ჩატარებულ ღონისძიებაში მონაწილეობისთვის.

მიუხედავად ანსამბლის ასეთი წარმატებული მოღვაწეობისა, 2004 წლის აგვისტოში იმჟამინდელმა თავდაცვის მინისტრმა გააუქმა ანსამბლის მოცეკვავეთა საშტატო ერთეულები, მაგრამ ანსამბლი არ დაშლილა. 7 წლის მანძილზე სისტემატურად მონაწილეობდა ქვეყნის სამხედრო და კულტურულ ცხოვრებაში, რაზეც მეტყველებს კონცერტები უკრაინაში, და ბოლოს, კონცერტი ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, რომელსაც მაყურებელმა **„ცეკვის აღმაფრენა“** უწოდა.

კონცერტის დასასრულ ანსამბლის ხელმძღვანელმა **ზაურ პაპიაშვილმა** მადლობა გადაუხადა ანსამბლის მოცეკვავეებს იმ თავდადებისთვის, რაც მათ გამოიჩინეს წლების მანძილზე და შეინარჩუნეს ფაქტობრივად გაუქმებული ანსამბლი.

ამჟამად ზაურ პაპიაშვილის ხელმძღვანელობით ანსამბლის მოცეკვავეები კვლავ შეიკრიბნენ და ახალ პროგრამას ადგენენ, იმედი აქვთ, რომ ქვეყნის ახალი ხელისუფლება იქნება უფრო ყურადღებიანი და გულისხმიერი მათ მიმართ, იმ საქმის მიმართ, რასაც ქართული ხელოვნება ჰქვია, ხოლო ეროვნულ გვარდიას კვლავ ეყოლება თავისი სასიქადულო „მამული“.

აღსანიშნავია, რომ ბავშვთა სტუდია „მამულში“ ვეტერანთა და გარდაცვლილ მებრძოლთა შვილები უფასოდ სწავლობენ ცეკვას.

ნოემბრის შუა რიცხვებიდან იწყება ზაურ პაპიაშვილისადმი მიძღვნილი ქორეოგრაფიული ფესტივალი, რომელშიც თვითონაც გაახარებს მაყურებელს ცეკვით.

ავთანდილ გეძაური.

სურათზე: ზაურ პაპიაშვილი და გიორგი გლურჯიძე.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

„მმართველ კოალიციაში სტაბილურობას განხეთქილება არ ემუქრება“

ხუთშაბათს, 6 ნოემბერს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ პარტია „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატების“ გამოსვლა მმართველი კოალიციიდან არ მიგვიყვანს იმ მთავრობის დესტაბილიზაციასთან, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს.

დაპირისპირება ქვეყნის ხელმძღვანელობაში თავდაცვის მინისტრის გადადგომასთანაა დაკავშირებული

თბილისში მინისტრთა კაბინეტის თათბირზე გამოსვლის დროს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თქვა, რომ „არ მომხდარა და არც მოხდება რაიმე ისეთი, რაც შეიძლებოდა დამუქრებოდა სტაბილურობას“.

მან აღნიშნა, რომ მმართველ კოალიციას ჰყავს უმრავლესობა პარლამენტში და დაუმატა, რომ მთავრობა იმუშავებს „მეტი ეფექტიანობით“.

„თავისუფალი დემოკრატების“ წასვლის შედეგად მმართველმა კოალიციამ დაკარგა უმრავლესობა პარლამენტში. მიუხედავად ამისა, როგორც იტყობინებიან, პარტიის რამდენიმე წარმომადგენელმა გადაწყვიტა დარჩეს მმართველ კოალიციაში, რომელსაც ასევე შეუძლია იმედი იქონიოს ზოგიერთ დამოუკიდებელ პარლამენტარზეც.

გასულ ოთხშაბათს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ და სამმა მისმა მოადგილემ შეიტანეს განცხადებები გადადგომის შესახებ პროდასავლური თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას გადადგომის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. სამშაბათს თავისი პოსტი დატოვა ევროპული ინტეგრაციის მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა.

გადამდგარმა მინისტრებმა, ყველა მათგანი არის პარტიაში „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატები“, განაცხადეს, რომ ალასანიას გათავისუფლება პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილის მიერ იყო პოლიტიკურად მოტივირებული ნაბიჯი და საფრთხის წინაშე აყენებს საქართველოს შანსებს ნატოსა და ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებით.

პრემიერ-მინისტრმა ღარიბაშვილმა უარყო ეს ბრალდებები და განაცხადა, რომ საქართველოს პროდასავლური ორიენტაცია გადასინჯვას არ ექვემდებარება.

ალასანიამ გააკრიტიკა პრემიერ-მინისტრი თავდაცვის სამინისტროს რამდენიმე თანამდებობის პირის დაპატიმრების გამო. მისი სიტყვებით, ამ დაპატიმრებათა მიზანი იყო იმათი პოზიციების შესუსტება, ვინც დასავლეთთან კარგი ურთიერთობის მხარდაჭერით გამოდის.

სამშაბათს ღარიბაშვილი გამოვიდა განცხადებით, რომელშიც განაცხადა ალასანიას გათავისუფლების შესახებ თავდაცვის მინისტრის პოსტიდან შეიარაღებული ძალების და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პოლიტიზაციის თავიდან აცილების მიზნით, აგრეთვე იმისთვის, რომ დაიწყოს დამოუკიდებელი გამოძიება სამინისტროს თანამდებობის იმ პირებთან დაკავშირებით, რომლებსაც ბრალი კორუფციაში ედებათ.

ალასანიამ ბრალდებას კორუფციაში უწოდა პოლიტიკურად მოტივირებული და დაკავშირებული იმასთან, რომ პარტია გამოდის დასავლეთთან უფრო მჭიდრო ურთიერთობის მხარდასაჭერად. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები არაერთგზის ადასტურებდნენ იმას, რომ ალასანია არის ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსი მმართველ კოალიციაში.

Voice of America

ეძებენ ქართველი გადამდგარი პოლიტიკოსების შემცვლელებს

საქართველოს პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა დაიწყო კონსულტაციები საგარეო საქმეთა მინისტრისა და ევროინტეგრაციის მინისტრის პოსტების კანდიდატურებთან დაკავშირებით, რომლებიც გადადგნენ თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიასთან სოლიდარობის ნიშნად. სამივე გადამდგარი მინისტრი ითვლებოდა მახლობელ ადამიანებად ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამიტომ თბილისში არ არიან გაოცებული სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებით საქართველოს მთავრობაში უკანასკნელ გადაადგილებებთან დაკავშირებით.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ახალ ხელმძღვანელად პრემიერი რუსეთის ფედერაციაში ყოფილ ელჩს ზურაბ აბაშიძეს დანიშნავს, ეს გახდება მოსკოვისთვის მეტად მნიშვნელოვანი სიგნალი“, – განმარტა ჩვენთან საუბარში ყოველკვირეული „პრემიერის“ კომენტატორმა ზურაბ ღოღობერიძემ. ამასთან ერთად, მისი სიტყვებით, ეს „საბაბს მისცემს ალასანიას, კვლავ გაიმეოროს თეზისი პრორუსული გადახრის შესახებ ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში“.

6 ნოემბერი ირაკლი ღარიბაშვილმა გამართა რამდენიმე შეხვედრა კოლეგებთან და მმართველი კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერებთან, რათა შეავსოს საკადრო სიცარიელეები, რომლებიც წარმოიქმნა საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის მაია ფანჯიკიძისა და ევროინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის ალექსი პეტრიაშვილის გადადგომის შემდეგ, მათ დატოვეს თავიანთი პოსტები მას შემდეგ, რაც თავდაცვის მინისტრი და მათი პარტიის „თავისუფალი დემოკრატები“ ლიდერი ირაკლი ალასანია გადადგა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი ითვლება. ბატონმა ღარიბაშვილმა დაგვარწმუნა, რომ არანაირი პოლიტიკური კრიზისი ქვეყანაში არ არის, საქართველოს „პარლამენტში იქნება მყარი უმრავლესობა, და მთავრობა გააგრძელებს მუშაობას კიდევ მეტი ეფექტიანობით“. მან გვაცნობა, რომ გადამდგარი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, რომელიც ბატონი ალასანიას ცოლისდაა, „ცდილობდა თან გაეყოლიებინა ოთხი მოადგილე“, მაგრამ სამი მათგანი

კონსულტაციების საკვანძო საკითხია – ვინ გახდება საგარეო საქმეთა სამინისტროს ახალი ხელმძღვანელი. ჩვენი გაზეთის მონაცემებით, ამ პოსტზე განიხილება რამდენიმე კანდიდატი: ესენი არიან პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის მოწესრიგების საკითხებში ზურაბ აბაშიძე, ეუთოში მუდმივი წარმომადგენელი კონსტანტინე ზალდასტანიშვილი და პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ხელმძღვანელი თედო ჯაფარიძე. თბილისში მიაჩნიათ, რომ მომავალი დანიშვნა ნიშნული გადაწყვეტილება გახდება.

„თუ საგარეო საქმეთა სამინისტროს ახალ ხელმძღვანელად პრემიერი რუსეთის ფედერაციაში ყოფილ ელჩს ზურაბ აბაშიძეს დანიშნავს, ეს გახდება მოსკოვისთვის მეტად მნიშვნელოვანი სიგნალი“, – განმარტა ჩვენთან საუბარში ყოველკვირეული „პრემიერის“ კომენტატორმა ზურაბ ღოღობერიძემ. ამასთან ერთად, მისი სიტყვებით, ეს „საბაბს მისცემს ალასანიას, კვლავ გაიმეოროს თეზისი პრორუსული გადახრის შესახებ ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში“.

6 ნოემბერს პრემიერი თავს დაესხა განთავისუფლებულ მინისტრს მეტად მკაცრი ბრალდებებით: **„ჩვენ არ გვეშინია ალასანიას მსგავსი ასობით ავანტიურისტისა, და, რასაკვირველია, მალე დავძლევთ ყველა პრობლემას, რაც მან შექმნა სააკაშვილის სტილში. იმის გამო, რომ მთავრობიდან წავიდა ერთი ავანტიურისტი, უგუნური და ამბიციური მინისტრი, არაფერი ცუდი არ მომხდარა“.**

დავარწმუნეთ, რომ დარჩენილიყვნენ თავიანთ პოსტებზე.

„მთავრობის მეთაურმა დამარწმუნა, რომ კურსი ნატოში შესვლაზე არ იცვლება, ამიტომ გადავწყვიტე დავრჩე ადგილზე“, – დაადასტურა პრემიერის სიტყვები საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის მოადგილემ თამარ ბერუჩაშვილმა. უარი განაცხადა გადადგომაზე იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმაც, რომელიც ამ პოსტზე დაინიშნა 2012 წელს ბატონი ალასანიას რეკომენდაციით. **„მთავრობაში არავინ მიშლის ხელს ვიმუშაო საქართველოს ინტეგრაციაზე ევროკავშირში, და პროდასავლური კურსიდან უკან დახევა არ შემიმჩნევია“, –** განმარტა მან.

სამი მინისტრის ხმაურიანმა გადადგომამ, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერით სარგებლობდნენ, ვაშინგტონის აშკარა გაღიზიანება გამოიწვია. „ჩვენ დაბეჯითებით მოვითხოვთ, რომ ყველა მხარემ ყურადღება გაამახვილოს საქართველოს პროატლანტიკური მომავლის უზრუნველყოფაზე, – განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჯენ პსაკიმ. – მოვუწოდებთ ღარიბაშვილის მთავრობას გაფანტოს შეგრძნება, რომ ამ შემთხვევაში სასამართლო სისტემა გამოყენებული არ იქნა პოლიტიკური მიზნებისთვის“.

ამერიკის შეერთებული შტატების უკმაყოფილება შეიძლება გაიზარდოს, თუ გამოძიება კორუფციის საქმესთან დაკავშირებით თავდაცვის სამინისტროში დაინტერესდება თავად ირაკლი ალასანიას როლითაც. ჩვენი მონაცემებით, უახლოეს პერიოდში თავდაცვის ექს-მინისტრი შეიძლება დაკითხონ – ჯერჯერობით, როგორც მოწმე.

Коммерсантъ

დედამიწის ზურგზე

ინდოეთის სამხედრო-საზღვაო ძალების ტორპედომჭერი ბენგალის ყურეში ჩაიძირა – ერთი მეზღვაური დაიღუპა, 4 უგზო-უკვლოდაა დაკარგული

საგანგებო შემთხვევის სავარაუდო მიზეზი გახდა ერთ-ერთი ნაკვეთურის ჩაძირვა, ინციდენტის მომენტში ტორპედომჭერის ბორტზე 28 კაცი იმყოფებოდა, მათგან 23 გადაარჩინეს. ადრე ფლოტში ავარიების სერიამ გამოიწვია ინდოეთის სამხედრო-საზღვაო ძალებში ხელმძღვანელობის შეცვლა.

* * *

გერმანია ბერლინის კედლის დაცემის 25 წლისთავის აღნიშვნას აპირებს გრანდიოზული ინსტალაციითა და კონცერტებით

მეთვალყურეები აღნიშნავენ, რომ საზეიმო ღონისძიებები გაიმართება უკრაინის კრიზისის გამო ცივი ომის ახალი ნაკადის საგანგებო მოლოდინის ფონზე. როგორც სოციოლოგები აღნიშნავენ, რუსეთელები დადებითად ეკიდებიან 1989 წელს ბერლინის კედლის დანგრევას, მაგრამ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა უმრავლესობას ეჭვი ეპარება, რომ ამ სიმბოლური ნაბიჯით დასრულდა ცივი ომი.

* * *

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოზარდმა ხუთი წლის ძმაში დაინახა გობლინი კომპიუტერული თამაშიდან და მოკლა იგი

მეცკერმედსენი აგურით იყო შეიარაღებული. მოზარდმა აღიარა, რომ აწუხებს ჰალუცინაციები და მკვლელობის მომენტში იგი არ ყოფილა პირველად ასეთ მდგომარეობაში. როდესაც დანაშაულს ჩადიოდა, 18 წლის ჭაბუკმა დაინახა არა უმცროსი ძმა, არამედ „გობლინების მეთაური“.

* * *

ამერიკული გამანადგურებელი ფ-16 დაიმსხვრა მექსიკის ყურის თავზე

თვითმფრინავის ბორტზე მხოლოდ მფრინავი იმყოფებოდა, იგი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. საჰაერო ხომალდი ეკუთვნოდა „ტინდალის“ სამხედრო ბაზას ფლორიდის შტატში. მისი წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ გამანადგურებელი წყალში ჩავარდა.

სპეცსამსახურთა თვალი ინტერნეტზე

ინტერნეტში სოციალური და პოპულარული საიტების მომხმარებელთა მოქმედებების შესახებ ინფორმაციის მიღება ამიერიდან რუსეთის სპეცსამსახურებს თავისუფლად შეეძლებათ.

საგანგებო საპროგრამო უზრუნველყოფის დაყენების შესახებ დადგენილებას პრემიერ-მინისტრმა დ. მედვედევმა მოაწერა ხელი.

საინფორმაციო ომების პირობებში, სპეცსამსახურებისთვის აუცილებლად საჭიროა, ინტერნეტში მიმოწერებსა და ტექნიკურ მონაცემებზე წვდომა ჰქონდეთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სპეცსამსახურებს ეცოდინებათ, ვინ რა გადაიწერა, რომელი მოწყობილობიდან და ა. შ., — აცხადებენ რუსეთელი ექსპერტები.

ზოგიერთი მათგანის აზრით, ეს, ერთი მხრივ, ნამდვილად არასასიამოვნოა, თუმცა კი, მეორე მხრივ, ამან შეიძლება ბევრ ნერვების წყვეტას გადაარჩინოს ხალხი, თუკი ვინმე მათს გვერდს მუქარებისა და სხვა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩასადენად გამოიყენებს. ჩვეულებრივ, პატიოსან კაცს, რომელიც ინტერნეტში საოჯახო ფოტოებს აქვეყნებს და სხვა ხალხთან მეგობრულად ურთიერთობს, არავითარი საფრთხე არ ემუქრება.

მოქცევა მდინარეზე

ჩინეთის ქალაქ ჰანჯოუში, რომელიც მდინარე ციანტანძიანის ნაპირებზეა გაშენებული, იულიანური (და არა ჩინური) კალენდრის ყოველი მერვე თვის (ანუ აგვისტოს) 18 რიცხვში ზღვის ყველაზე ძლიერი მოქცევაა ხოლმე.

მოქცევები მზისა და მთვარის გრავიტაციული მიზიდულობის ზედდებითაა გამოწვეული, რომლებიც მბრუნავ დედამიწაზე ზემოქმედებენ. ეს ასევე ჰანჯოუს უბის ფსკერის რელიეფითაა განპირობებული.

საგულისხმო კი ისაა, რომ ამ არაჩვეულებრივი ბუნებრივი მოვლენის სილამაზე ჩინელებს ოდითგანვე იზიდავდა. ამ ზღაპრული სანახაობით ტკბობის ტრადიცია იქ ჯერ კიდევ ჰანისა და ვეის დინასტიების მმართველობის დროს, I-VI საუკუნეებში ჩამოყალიბდა. დინასტიების ტანისა და სუნის მმართველობის პერიოდში კი (VII-XIII სს) მოქცევების საცქერლად ხალხმა ქვეყნის სხვა მხარეებიდანაც დაიწყო ჰანჯოუში ჩასვლა და ეს რიტუალი თანდათანობით ადგილობრივ ტრადიციად გადაიქცა.

ასეთია ბუნების ყველა საოცრებით ტკბობის ჩინელთა ძველთაძველი არაჩვეულებრივი თვისება.



მსოფლიოში ყველაზე დიდი ჰონორარების მიმღებნი

ამერიკელი მწერალი ჯეიმს პატერსონი მსოფლიოში ყველაზე დიდი ჰონორარების მიმღები მწერლების რეიტინგის პირველი ნომერი გახდა. მისმა წლიურმა შემოსავალმა 90 მილიონი დოლარი შეადგინა.

ჯეიმს პატერსონმა სახელი გაითქვა ინსპექტორ ალექს კროსისა და დეტექტივ მაიკლ ბენეტის დეტექტიური თავგადასავლების შესახებ რომანების სერიით.

მეორე ადგილზეა ასევე დეტექტიური და სასიყვარულო რომანების ავტორი ნორა რობერტსი.

განა რა საერთო აქვთ სილამაზესა და ჭკუას?!..

თანამედროვე პოპულარული მუსიკის ერთ-ერთ ვარსკვლავს, მომხიბლავ ბრიტნი სპირსს „აინშტაინობას“ ნამდვილად არავინ არ სთხოვს, მაგრამ ხომ არის ელემენტარული ცოდნის რაღაც გარკვეული მინიმუმი,

რომელიც შოუ-ბიზნესის ლამაზმანებსაც მოეთხოვება?! ბრიტნი სპირსი ასეთი „მინიმუმის“ ტესტს რომ ვერ ჩააბარებდა, ამაში თავადაც დარწმუნდებით, ბატონებო!

— იაპონიაში წასვლა არასდროს მომინდომებია, რადგან თევზი არ მიყვარს. მე კი ვიცი, რომ იქ, აფრიკაში (**?! — რედ.**), თევზი ძალიან პოპულარულია. ისე, ოკეანის გადაღმა ქვეყნებში ვაპირებ წასვლას, იქნებ კანადაში და სინგაპურში... მგონი, ისევ რაღაც შემეშალა... — ესაა „შედევრი“ ინტერვიუს ნაწყვეტი, რომელიც მან ერთ ერთ-ერთი ავსტრალიური ტელეარხის ჟურნალისტს მისცა.

ხოლო, როცა მას ჰკითხეს, სურდა თუ არა ნიუ-იორკში, ბროდვეის რომელიმე თეატრის სპექტაკლში მონაწილეობის მიღება, მან უპასუხა:

— დარწმუნებული არა ვარ, თუმცა კი, ვგონებ, უმჯობესი იქნება უფრო მორიდებულად დავიწყო, მაგალითად, ლონდონთან ან ინგლისთან...

რა გინდათ, ბატონებო, რას ერჩით ამ ქალს, ვინ რა იცის, როგორი ძნელია, იყო ერთდროულად წარმატებული პოპ-ვარსკვლავი, ლამაზი ქალი და თანაც ჭკვიანი!..

ბრიტნი სპირსს „გონებაგახსნილობაში“ არც კინომსახიობი **ჯესიკა სიმპსონი** ჩამორჩება, რომელსაც ეს „მარგალიტები“ ეკუთვნის:

— ანორექსიით დაავადებული არა ვარ, მე ტეხასელი ვარ. ტეხასში კი ხალხი ანორექსიით არ ავადდება. ასეთი რამის შესახებ არასდროს არ მსმენია და ეს მეც მეხება.

— მამაკაცთან ურთიერთობაში ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ არ მოვიწყინო. ურთიერთობისადმი ინტერესს მაშინ ვკარგავ, როდესაც საუბრის თემა უინტერესოა. ამიტომაც პარტნიორებად ჭკვიან მამაკაცებს ვირჩევ, ინტელექტუალებს, რომლებიც ჩემს ტვინს მოდუნების საშუალებას არ აძლევენ.

— თუ გარეთ გასვლას არ ვაპირებ, თმას არასოდეს არ ვიბან, ანუ ველოდები, რომ სუნი აუვიდეს...

მაგრამ ამ ქალბატონების დედოფალი, უდავოდ, მომღერალი **მერაია კერია:**

— როდესაც ტელევიზორს ვუყურებ და საცოდავ, მშიერ ბავშვებს ვხედავ, ცრემლს ვერ ვიკავებ. მეც მინდა, ასეთივე გამხდარი ვიყო, ოღონდ ტანჯვის, სიკვდილისა და მსგავსი საშინელი რამეების გარეშე!..

კიდევ ერთ მსახიობ ლამაზმან მიშა ბარტონს კი, თურმე ჭკვიანი ბიჭები მოსწონს, რადგანაც ჟურნალების კითხვა... თავადაც ნაყვარება.

„მესამე თვალის“ გახსნა

ახალი სასწავლო წლის პირველ დღეს, 1 სექტემბერს, ჩინეთის ქალაქ ნანკინის კონფუცის სახელობის სკოლის მოსწავლეები, კონფუცის ტაძარ დაჩენის ეზოში, ძველი დროის დიდი ფილოსოფოსისა და პედაგოგის პატივის მისაგებ ცერემონიაზე შეიკრიბნენ.

პირველკლასელებს კონფუცის კანონის „ლუნიუის“ („საუბრები და განსჯა“) ნაწყვეტები წაუკითხეს. შემდეგ ბავშვებმა მის მიმართ თაყვანის გამომხატველ ცერემონიაში მიიღეს მონაწილეობა და იეროგლიფის „ჟენის“ დაწერის სწავლა დაიწყეს, რომლითაც ცნება „ადამიანი“ აღინიშნება. ყველა პატარას შუბლზე ცნობილი წითელი წერტილი დაასვეს, რაც „მესამე“, ანუ „სიბრძნის თვალის“ გახსნას ნიშნავს. ბავშვებს მიესალმნენ და დარიგება მისცეს მომავალმა მასწავლებლებმა.

ასე აღნიშნავენ ნანკინში ახალი თაობის ჩინურ კულტურასთან და წერით ცოდნასთან ზიარების დასაწყისს.

ო, ენავ ჩემო...

ენის, როგორც ადამიანისა და ცხოველთა ორგანოს, ასევე ადამიანთა უძველეს თანამეგობართა ხმოვანი, შემდეგ დამწერლობითი ურთიერთობების უნიკალური ორგანოს შესახებ, აუარება საგულისხმო ფაქტის მოყვანა შეიძლება.

● ადამიანებს ხმის აპარატი, სხვა პრიმატებთან შედარებით, ხორხს ქვემოთ გვაქვს განთავსებული, რაც ფართო სპექტრის მქონე განუმეორებელ რეზონანსულ სისტემას გვანიჭებს. **სწორედ მისი წყალობით შეგვიძლია, ბგერების ასეთი ფართო სპექტრის წარმოთქმა, რომლებიც მეტყველებისთვისაა საჭირო.**

● ამასთან, ხმის აპარატის ასეთი განლაგება იმასაც ნიშნავს, რომ ჩვენ სხვა ცხოველებივით ერთდროულად სუნთქვა და ყლაპვა არ შეგვიძლია. თუმცა, საგულისხმოა ისიც, რომ **ხმის აპარატი ადამიანში ქვემოთ არ იწევს, ვიდრე ჩვილი ცხრა თვისა არ შესრულდება, რაც მას ძუძუს ჭამის დროს სუნთქვის საშუალებას აძლევს.**

● შეიძლება ითქვას, რომ ენის სწავლას ჩვილები ჯერ კიდევ დედის მუცელში ყოფნისას იწყებენ. მაგალითად, **3-დან 5 დღემდე ასაკის ჩვილები, რომლებიც ფრანგულად მოლაპარაკე ოჯახში დაიბადნენ, ჩვეულებრივ, აღმავალი ინტონაციით ტირიან, რაც სწორედ ფრანგული ენისთვისაა დამახასიათებელი.** ამავე დროს, საგულისხმოა, რომ გერმანულენოვანი მშობლების შვილები, როგორც წესი, დაღმავალი ინტონაციით ტირიან, რაც, ზოგადად, გერმანული ენისთვისაა დამახასიათებელი.

● ენის განვითარებისთვის აუცილებელი ნეირონული მარაგი დაბადებიდან სამ წლამდე ასაკში მწიფდება. მაგალითად, **ბავშვებს, რომლებსაც ენის შესწავლის შესაძლებლობა სქესობრივი სიმწიფის მიღწევამდე არ მისცეს, ვთქვათ, ცუდი მოპყრობის ანდა იზოლაციის გამო, მომავალში სიტყვათა მხოლოდ შეზღუდული მარაგის სწავლა კი შეუძლიათ, მაგრამ გააზრებული წინადადებების შედგენის უნარის განვითარებას ვეღარ ახერხებენ.**

● ენის დამუშავების მექანიზმის გაგების სხვა

ხერხია ქალა-ტვინის ტრავმების შესწავლა. **ადამიანებს, რომლებმაც თავის ტვინის ბროკის ცენტრად წოდებული უბნის ტრავმები მიიღეს, მოკლე ფრაზების წარმოთქმაც არ შეუძლიათ, რაც ტვინის ამ უბნის მეტყველებისთვის უდიდეს მნიშვნელობას მიანიშნებს.** ასევე საფეთქლის ზედა ხვეულის დაზიანებას ისეთი მდგომარეობის გამოწვევა შეუძლია, რომელიც მედიცინაში „ვერნიკეს აფრაზიის“ სახელითაა ცნობილი. ამ დაზიანების დროს **ადამიანს ნორმალურად ესმის, თუმცა კი, სიტყვებს ვერ გებულობს. ასევე მას ჰგონია, რომ ჩვეულებრივად ლაპარაკობს, მაგრამ რასაც ამბობს, სრული უაზრობაა.**

● იმის მიუხედავად, რომ მეცნიერები დიდი ხანია, კამათობენ ენის შესწავლის სიადვილესა და ადამიანის ასაკს შორის კავშირის თაობაზე, მრავალი გამოკვლევის შედეგად ცხადი ხდება, რომ **არსებობს გარკვეული კრიტიკული პერიოდი, რომლის შემდგომ ენის შესწავლა უფრო ჭირს. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ დაახლოებით 6-7 წლის ასაკი საიმისოდ ზღვრულია, რომ კაცმა სხვა ენა მშობლიურივით კარგად ისწავლოს.** ამ ასაკის შემდეგ შეიძლება მეორე ენის მშობლიურის ცოდნის დონესთან მხოლოდ მიახლოებით სწავლა.

● კემბრიჯის უნივერსიტეტის კვლევითი პროექტის შედეგების თანახმად, **სიტყვის სწორად წასაკითხად არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა თანმიმდევრობითაა მასში დაწერილი ასოები. ყველაზე მთავარი ისაა, რომ თავის ადგილზე იყოს მისი პირველი და ბოლო ასოები.** ეს იმის გამო ხდება, რომ ადამიანის ტვინი ყველა ასოს არ კითხულობს.

(გაგრძელება იქნება)

◎ ჭადრაკი

მატჩ-რევანშს სოჭი უმასპინძლებს

შარშან ნორვეგიელმა დიდოსტატმა მაგნუს კარლსენმა (რეიტინგი 2863) მოჭადრაკე ვაჟთა შორის მსოფლიოს ჩემპიონ ვიშვანათან ანანდს (2792) იოლად სძლია და თავად მოიპოვა ტიტული. აზიელმა დიდოსტატმა დებულებით მინიჭებული უფლებები გამოიყენა და ევროპელი მეტოქე მატჩ-რევანშში გამოიწვია.

ოპონენტები ერთმანეთს დღეიდან სოჭში (რუსეთი) დაუპირისპირდებიან. შეხვედრა 12 პარტიისაგან შედგება. კონკურენტები ყოველი ორი ორთაბრძოლის შემდეგ დაისვენებენ. მარათონის ფრედ დასრულების შემთხვევაში გამარჯვებულს ტაიბრეიქები გამოავლენს. საპრიზო ფონდია მილიონი ამერიკული დოლარი. ძირითად დროში გამარჯვებული ამ თანხის 60, დამარცხებული კი 40 პროცენტს მიიღებს. ტაიბრეიქებში მიღწეული წარმატებისთვის ჩემპიონს ფულადი პრიზის 55, ხოლო ვიცე-ჩემპიონს 45 პროცენტით დააჯილდოებენ.

ფინალური პაექრობის დღეებია: 8, 9, 11, 12, 14, 15, 17, 18, 20, 21, 23, 25 ნოემბერი, 10, 13, 16, 19 და 22 ნოემბერს კი მეტოქეები დაისვენებენ.

გივი გაგუა

◎ ალმათიში

ალმათიში - შესუსტებული შემადგენლობით

შარშან ოთხ ქართველ ძალოსანს (რაულ ცირეკიძე, შოთა მიშველიძე, დავით გოგია და ლაშა ტალახაძე) დოპინგის მიღების გამო სხვადასხვა ვადით დისკვალიფიკაცია მისცეს, არადა, ისინი ეროვნული ნაკრებისთვის დიდ ძალას წარმოადგენდნენ. დასჯილი ათლეტები მხოლოდ გაისად შეძლებენ ფიცარნაგზე გამოსვლას, ამიტომაც ჩვენი გუნდი (მთავარი მწვრთნელი - ოლიმპიური ჩემპიონი გიორგი ასანიძე) ყაზახეთის ყოფილ დედაქალაქ ალმათიში, სადაც 6 ნოემბერს დაიწყო სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატი, შესუსტებული შემადგენლობით გაემგზავრა.

აზიურ ფიცარნაგზე ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ: რამინ შამილიშვილი (62 კგ), ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონი და ახალგაზრდებში კონტინენტის პირველობის ორგზის პრიზიორი გიორგი ლომთაძე (77), ნიკა ნანაძე (94), 2011 წლის ევროპის ვიცე-ჩემპიონი გია მაჭავარიანი და ალბერტ კუზილოვი (ორივე — 105), ევროპის ბრინჯაოსმედალოსანი ირაკლი თურმანიძე (+105). შამილიშვილი ქართველთაგან პირველი დღეს გავა საასპარეზოდ.

ალმათიში გამგზავრების წინ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გვითხრა, რომ ამ შეჯიბრებაზე მედლებს არ გეგმავენ. „ეს ჩემპიონატი არის სალიცენზიო, აქ მოპოვებულ ქულებს მომავალი წლის მსოფლიო პირველობის ქულები დაემატება და ამის მიხედვით გირკვევა, რამდენი ათლეტით გავემგზავრებით რიო დე ჟანეიროს 2016 წლის ოლიმპიურ თამაშებზე. ჩვენი მიზანია, ბრაზილიაში სამი ან ოთხი სპორტსმენით ჩავიდეთ, ამიტომ ყაზახეთში სტაბილურად უნდა გამოვიდეთ და შესაძლებლობის მაქსიმუმი გავაკეთოთ. საამისოდ დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე საწვრთნელი შეკრებებისას ძალა და ენერგია არ დაგვიზოგავს. გაისად დისკვალიფიცირებული ძალოსნებიც შემოგვიერთდებიან და როგორც 2015 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის, ისე რიოს ოლიმპიადის მედლებზეც ვიფიქრებთ“, — აღნიშნა გიორგი ასანიძემ.

საგულისხმოა, რომ 2015 წლის აპრილში თბილისი ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ დროისთვის დისკვალიფიკაციის ვადა გასდით ცირეკიძესა და გოგიას, ამიტომ ისინი პირადი მწვრთნელების ხელმძღვანელობით ინტენსიურად ვარჯიშობენ და საქართველოს დედაქალაქის ფიცარნაგზეც მოსინჯავენ ძალებს, მომავალი წლის შემოდგომიდან კი მიშველიძე და ტალახაძეც ჩაებმებიან შეჯიბრებებში.

ლექსო ციცაგაძე

სურათზე: მარცხნიდან — გიორგი ასანიძე, ირაკლი თურმანიძე და ალბერტ კუზილოვი.

ვაჟა დანელიას ფოტო.

◎ კალათბურთი

სანიკიძის „უნიქსმა“ ლიტვაშიც წააგო

ვიქტორ სანიკიძის „უნიქსმა“ ევროლიგის მე-4 ტურში მე-3 მარცხი განიცადა და სიტუაცია ძალიან გაირთულა. ყაზანელები ჩინებულ ფორმაში მყოფ კაუნასის „ჟალგირისს“ სტუმრობდნენ და 71:77 წააგეს.

ქართველი კალათბურთელი სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა და მწვრთნელის გადაწყვეტილებით მხოლოდ 9 წუთს ითამაშა. ვიქტორი მოედანზე პირველი მეოთხედის მიწურულს გამოჩნდა და ვინაიდან მალევე 2 პერსონალური ფოლი მიიღო, არგირის პედულაკისმა სათადარიგოთა სკამზე ხანგრძლივი დროით დააბრუნა.

აღნიშნულ დროში სანიკიძემ 1 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, სამქულიანი ააცილა და 3 ქულას შეტევაში განხორციელებული 2 მოხსნაც წაამატა. საქართველოს ნაკრების ფორვარდმა სულ ბურთი ერთხელ დაკარგა, 3-ჯერ დაჯარიმდა, მის წინააღმდეგ კი თამაშის წესები ერთხელ დაირღვა.

„უნიქსის“ რიგებში საუკეთესო კეიტ ლენგფორდი იყო 24 ქულით, „ჟალგირისის“ ამერიკელმა ლიდერმა ჯეიმს ანდერსონმა კი 27 ქულა, 11 მოხსნა, 4 პასი, 3 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა და ტურის საუკეთესო მოთამაშის ტიტულზე სერიოზული განაცხადი გააკეთა.

ყაზანურ კლუბს A ჯგუფში მე-4 ადგილი უკავია და ანალოგიური მონაგრის მქონე „ნიჟნი ნოვგოროდს“ და ჯერაც მოუგებელ იტალიურ „სასარის“ უსწრებს. მომდევნო ტურში, 13 ნოემბერს, „უნიქსი“ სწორედ ნოვგოროდელებს უმასპინძლებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ელიტაში

ფედერერი შემოსავლებით ჩოგბურთელებს ლიდერობს

როგორც გაუწყეთ, ჟურნალმა Forbes-მა საკუთარი ვერსიით პლანეტის 100 ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპორტსმენი დაასახელა. რჩეულთა ათეულში ერთბაშად 2 ჩოგბურთელია. მეშვიდეა როჯერ ფედერერი. შვეიცარიელმა 56.2 მილიონი გამოიმუშავა, მათ შორის 52 სარეკლამო შემოსავალია. მეცხრე ადგილზეა რაფა ნადალი. მალიორკელმა წლეულს 44.5 მილიონი (30 რეკლამით) დაიმსახურა. მსოფლიოს რეიტინგსიის ლიდერმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა 33 მილიონი (21 რეკლამით) მიიღო და მაღალანაზღაურებად სპორტსმენთა შორის მე-17-ეა.

ჩოგბურთელ ქალთაგან წლეულს ყველაზე მეტი რუსმა მარია შარაპოვამ (24.4 მილიონი დოლარი), გამოიმუშავა. აღსანიშნავია, რომ შარაპოვა ქალ სპორტსმენთა შორის ყველაზე მდიდარია, ამასთან, მაშამ 22 მილიონი უშუალოდ რეკლამითა და კომერციული საქმიანობით მიიღო.

კობა კობახიძე

◎ ფეხბურთი

ეს ევროპის ლიგაა

უეფას პრეზიდენტის მიშელ პლატინის ძალისხმევამ ნაყოფი მოისხა — ევროპის ლიგაში მოთამაშე ბობოლა კლუბები ამ ერთი შეხედვით ნაკლებად პრესტიჟულ ტურნირს უკვე სერიოზულობით ეკიდებიან და, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მატჩებს ძირითადი შემადგენლობით ატარებენ. შესაბამისად, იმატა ტრიბუნებზე გულშემატკივართა რაოდენობამაც.

მოკლედ, სადაც დიდი ფული ტრიალებს, იქ რომ საქმეც კეთდება, კიდევ ერთხელ დასტურდება.

გაუწყებთ ჯგუფური რაუნდის IV ტურის შეხვედრათა შედეგებს.

„ა“ ჯგუფი. „აპოლონი“ — „გლადბახი“ 0:2, „ციურიხი“ — „ვილიარეალი“ 3:2.

„გლადბახი“ — 8, „ვილიარეალი“ — 7, „ციურიხი“ — 4, „აპოლონი“ — 3 ქულა.

„ბ“ ჯგუფი. „კოპენჰაგენი“ — „ბრიუგე“ 0:4, ჰიკი — „ტორინო“ 2:1.

„ბრიუგე“ — 8, „ტორინო“ — 7, „კოპენჰაგენი “ — 4, ჰიკი — 3 ქულა.

„გ“ ჯგუფი. „ტრიპოლისი“ — „ტოტენჰემი“ 1:2, „ბეშიქთაში“ — „პარტიზანი“ 2:1.

„ბეშიქთაში“, „ტოტენჰემი“ — 8-8, „ტრიპოლისი“ — 4, „პარტიზანი“ — 1 ქულა.

„დ“ ჯგუფი. ზაგრების „დინამო“ — „ზალცბურგი“ 1:5, „ასტრა“ — „სელტიკი“ 1:1.

„ზალცბურგი“ — 10, „სელტიკი“ — 8, ზაგრების „დინამო“ — 3, „ასტრა“ — 1 ქულა.

„ე“ ჯგუფი. „პანათინაიკოსი“ — „ეინდჰოვენი“ 2:3, მოსკოვის „დინამო“ — „ეშტორილი“ 1:0.

მოსკოვის „დინამო“ — 12, „ეინდჰოვენი“ — 7, „ეშტორილი“ — 3, „პანათინაიკოსი“ — 1 ქულა.

„ვ“ ჯგუფი. „სენტ ეტიენი“ — „ინტერი“ 1:1, „ყარაბაღი“ — „დნიპრო“ 1:2.

„ინტერი“ — 8, „სენტ ეტიენი“, „დნიპრო“, „ყარაბაღი“ — 4-4 ქულა.

„ზ“ ჯგუფი. „სევილია“ — „სტანდარდი“ 3:1, „ფეიენოორდი“ — „რიეკა“ 2:0.

„სევილია“ — 8, „ფეიენოორდი“ — 6, „სტანდარდი“, „რიეკა“ — 4-4 ქულა.

„თ“ ჯგუფი. „ევერტონი“ — „ლილი“ 3:0, „ვოლფსბურგი“ — „კრასნოდარი“ 5:1.

„ევერტონი“ — 8, „ვოლფსბურგი“ — 7, „ლილი“ — 3, „კრასნოდარი“ — 2 ქულა.

„ი“ ჯგუფი. „ნაპოლი“ — „იანგ ბოიზი“ 3:0, „სპარტა“ — „სლოვანი“ 4:0.

„სპარტა“, „ნაპოლი“ — 9-9, „იანგ ბოიზი“ — 6, „სლოვანი“ — 0 ქულა.

„კ“ ჯგუფი. კიევის „დინამო“ — „ოლბორგი“ 2:0, „რიო ავე“ — „სტიაუა“ 2:2.

კიევის „დინამო“ — 9, „სტიაუა“ — 7, „ოლბორგი“ — 6, „რიო ავე“ — 1 ქულა.

„ლ“ ჯგუფი. „ფიორენტინა“ — პაოკი 1:1, „გენგამი“ — მინსკის „დინამო“ 2:0.

„ფიორენტინა“ — 10, „გენგამი“ — 7, პაოკი — 4, მინსკის „დინამო“ — 1 ქულა.

„მ“ ჯგუფი. „ლეგია“ — „მეტალისტი“ 2:1, „ლოკერენი“ — „ტრაბზონსფორი“ 1:1.

„ლეგია“ — 12, „ტრაბზონსფორი“ — 7, „ლოკერენი“ — 4, „მეტალისტი“ — 0 ქულა.

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

ლედი გაგას საფეხბურთო ვნებანი



არავისთვისაა უცხო ის ფაქტი, რომ ცნობილი პოპ-მომღერალი ლედი გაგა ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების ქომაგია და „პენტაკამპეონთა“ გუნდის სიყვარული მან თუნდაც იმით დაამტკიცა, რომ მუნდიალზე სამარცხვინოდ გამოსვლის მიუხედავად მომღერალმა ბრაზილიელ ფეხბურთელებს თანადგომა გამოუცხადა.

ზოგადად ლედი გაგა ფეხბურთში დიდად ვერ ერკვევა, თუმცა, როგორც თავად ამ ცოტა ხნის წინათ, ამერიკელ ჟურნალისტებთან ინტერვიუში განაცხადა, შარშან სულ ცოტა დააკლდა და მოვლენები სხვანაირად რომ განვითარებულიყო, შესაძლოა ერთ-ერთი ინგლისური საფეხბურთო კლუბი შეეძინა. მის სახელს მომღერალი არ ამხელს.

სხვათა შორის, ლედი გაგას ფინანსური მდგომარეობა არც ისე მყარია და როგორც ბულვარული მედია იუწყება, მომღერალი არც მეტი, არც ნაკლები, 4-ჯერ(!) გაკოტრებულა, მაგრამ ნიჭიერი ადამიანი დასავლეთში იშვიათად იკარგება და ლედი გაგამაც ყველა პრობლემა მშვენივრად დაძლია.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ დედაქალაქი

ყველაზე ძვირადღირებული და იაფფასიანი უბნები

სად რა ფასად შეიძლება სახლის ყიდვა

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში დედაქალაქში ცხოვრების მსურველთა რაოდენობამ საგრძნობლად მოიმატა, შესაბამისად, გაიზარდა მოთხოვნა ბინებზეც.

მოთხოვნასთან ერთად იზრდება უძრავი ქონების ღირებულებაც. ბინების ფასები სხვადასხვა უბანში სხვადასხვაგვარია უბნების პრესტიჟულობის, ბინის მდებარეობისა და მდგომარეობის მიხედვით. ბინის შეძენის მსურველებმა რამდენიმე ხერხს შეიძლება მიმართონ – უძრავი ქონება შეგიძლიათ, შეიძინოთ ე.წ. მაკლერის, გაზეთში გამოქვეყნებული განცხადების, ან ონლაინ-განცხადების მეშვეობით. ვინაიდან მაკლერები გაწეულ სამუშაოში საკმაოდ დიდ თანხას, გაყიდული ქონების 2 პროცენტს ითხოვენ, ხოლო გაზეთში გამოქვეყნებულ განცხადებას ყოველთვის არ ახლავს ფოტო, განცხადების ძიების ყველაზე კომფორტულ საშუალებად ინტერნეტმედია რჩება. ბინიდან გაუსვლელად თავად შეგიძლიათ ვებ-გვერდზე ფასებისა და უბნების დახარისხება, ხშირ შემთხვევაში კი ბინაზე წარმოდგენას განცხადებაზე დართული ფოტოც შეგიქმნით.

საქართველოში ონლაინ-განცხადებებისა და უძრავი ქონების ყველაზე დიდი ბაზის მფლობელია ინტერნეტპორტალი Saqme.ge. აქ შეგიძლიათ, ნახოთ უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა-გაქირავების შესახებ თითქმის ყველა ტიპის ინფორმაცია, რომელთა შორისაც, რა თქმა უნდა, ბინების შესახებ ინფორმაციასაც იხილავთ. საიტზე მარტივი ონლაინ რეგისტრაციის გავლის შემდეგ მომხმარებელს სრულიად უფასოდ შეუძლია განცხადების განთავსება. როგორც Saqme.ge-ს რედაქტორი ლელა არაბული აცხადებს, ინტერნეტპორტალი უძრავი ქონების შესახებ ინფორმაციას 2007 წლიდან აწვდის მომხმარებელს და ვებგვერდი ამ ტიპის საიტებს შორის მოწინავე ადგილზეა, რასაც პირველ რიგში ინფორმაციის სანდოობა განსაზღვრავს.

– რომელი უბნებია ბინებზე მოთხოვნის მხრივ ყველაზე პოპულარული?

– უწინარესად, აუცილებლად გამოვყოფდი საბურთალოს რაიონს, როგორც ბინების სიძვირის, ისე მაღალი მოთხოვნის მიხედვით. შემდეგ მოდის ვარკეთილისა და გლდანის დასახლებები. ვაკეში განსაკუთრებით ძვირადღირებული ბინებია და ასევე შეიძლება აღინიშნოს დიდი დიღმის დასახლება, სადაც ახლა მშენებლობების ბუმია.

Ambebi.ge დაინტერესდა ყველაზე მოთხოვნად უბნებში არსებული ბინების საშუალო ღირებულებით. ზემო ვაკეში 5-ოთახიანი ახალაშენებული ბინა პრესტიჟულ და სუფთა ადგილზე 252 ათას დოლარად არის შეფასებული. საბურთალოს რაიონში, ბუდაპეშტის ქუჩაზე არსებული 3-ოთახიანი ახალგარემონტებული ბინის ფასი 155 ათას დოლარს აღწევს.

თუ ვაჟა-ფშაველაზე ყველაზე პრესტიჟულ ადგილას ახალ აშენებულ დუპლექსის ტიპის ბინას ეძებთ, თანაც ისეთს, ავტოფარეხი რომ ჰქონდეს, მინიმუმ 220 ათასი დოლარი უნდა გეგულებოდეთ თქვენს ჯიბეში. ისინი, ვინც გარეუბანში ცხოვრებას არჩევენ, საშუალოდ 33 ათასიდან 55 ათას ლარამდე შეძლებენ ბინის ყიდვას.

გარეუბნებს შორის ყველაზე მოთხოვნად უბნებად ვარკეთილი და გლდანი მიიჩნევა. რაც შეეხება ფასებს, ამ ორ უბანში ის თითქმის იდენტურია, თუმცა, რა თქმა უნდა, ადგილმდებარეობა და ბინის პროექტი ამ შემთხვევაში ფასის განმსაზღვრელია.

ჩეხური პროექტის ბინები გარეუბნებში ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო პროექტის ბინებად მიიჩნევა. ამ პროექტის 4-ოთახიან სარემონტო ბინას სუფთა მდგომარეობაში დაახლოებით 50 ათას დოლარად შეიძენთ გლდანის რაიონში, ხოლო ვარკეთილში, მოსკოვის პროექტის ერთოთახიანი ბინა ძალიან კარგ მდგომარეობაში 25 ათას დოლარად არის შეფასებული.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს ბინის მყიდველთა რაოდენობამ გაცილებით გადააჭარბა დაგირავების მსურველთა რიცხვს. მაგალითად, ვაკესა და საბურთალოს რაიონებში ერთოთახიანი ბინის დასაგირავებლად დაახლოებით 30 ათასი დოლარი უნდა გქონდეთ გათვალისწინებული, ხოლო გლდანსა და ვარკეთილში ოროთახიანი დასაგირავებელი ბინის ფასი 30-დან 35 ათას დოლარამდე მერყეობს.

სალომე შიხაშვილი

ქ. თბილისში მცხოვრები „ფოთელების საზოგადოების“ სახელით ღრმა მწუხარებით ვიუწყებით საზოგადოების წევრის, გამოჩენილი ქართველი მსახიობისა და პიროვნების

გურამ ფირცხალავას

გარდაცვალებას და სამძიმარს ვუცხადებთ ოჯახს.

საზოგადოების გამგეობა.

რაინდი, დარბაისელი,
ხან მოჭენავე კვიცი ხარ,
ფანტასტიური ცეკვების
ყველა ჩუქურთმით
მიცვნიხარ.
ქორეო-გრაფი კი არა
დიდი ქორეო-პრინცი ხარ.

ლია და ომარ ქავთარაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან დიდი მაესტროს

რეზო ჭოხონელიძის

გარდაცვალებას.

ვოვა ჯაფარიძე ოჯახით იუწყება რძლის

ირინე ჯაფარიძის

გარდაცვალებას.

რეკლამა
299-62-77;
568 82-09-84.

◎ თითქმის ნატურიდან

მკურნალი

თანამედროვე დაავადების პრიორიტეტული მიმართულება – არტერიული წნევა, რომელიც ვალიკოს ჭარმაგობისას დაემართა, ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. საიდან სადაო, გაუკვირდათ კოლეგებს, გურულები პოლიტიკას მედროშეობენ და ქიზიყელს, სადაც ბატონყმობაც კი არ გამოუვლიათ, სტრესული აშლილობა რა ეშმაკმა შემოუგდოო.

თქვენ წარმოიდგინეთ, ვალიკოს წნევისადმი მიდრეკილებას ზოგი სწორედ ქიზიყური უწნეობით ხსნის – გარემო ფაქტორებისადმი რეაქცია არა აქვს, ყველაფერს, რაც გულზე ხვდება, იქვე მარხავს და ამიტომაც იბოღმებაო.

ამის მთქმელი, ეტყობა, თავად არის დაბოღმილი, თორემ ყოველთვის მშვიდ და ზომიერ ვალიკოს, რაც მართალია მართალია, დაძაბულობისა არაფერი ეტყობა – წნევასაც მშვენივრად უვლის და საკუთარ ჯანმრთელობასაც. ისე, კაცმა რომ თქვას, მოუვლელი ავადმყოფობაა საშიში თორემ, თუ უვლი და ფიანდაზად ეფინები, იმ ერთი სვანისა არ იყოს, რომც გაიზმორო, არ გაიბზარები...

ვალიკო, როგორც ჩანს, ამ უკანასკნელ პოსტულატს ეყრდნობა. მან ჯერ კიდევ ამ ოციოდე წლის წინათ შეიძინა არტერიის მაკონტროლებელი აპარატი და წნევას შინაც და სამსახურშიც წარამარა იზომავს. უფრო კი სამსახურში, თანაც შესვენების პერიოდში, როცა აქ, დადგენილი ტრადიციის მიხედვით, ღვინო ან არაყი უნდა გადაჰკრას.

გახსნის ვალიკო დიპლომატს, ფრთხილად ამოიღებს საბჭოურ აპარატს (როგორც თავად აცხადებს, ამას ევროაპარატები ვერ შეედრება), დაუქშუტუნებს, შკალაზე შეფრენილ ვერცხლისწყალს შეხედავს და ამის მიხედვით განსაზღვრავს, ღვინის დალევა აჯობებს თუ არყისა. თუ წნევა მაღალია, უფრო არაყს ეტანება (წნევას უცებ აგდებს), თუ საშუალო – ღვინოს ამჯობინებს. არის ცალკეული შემთხვევები, როცა ღვინოსაც სვამს და არაყსაც – გააჩნია დროს და ვითარებას (გუბაზი თუ თავად არ წასულა სათოხლაოდ და თანამშრომლების მადას აკონტროლებს), ჰიდრომეტეოროლოგიურ მონაცემებს და თანამეინახე კოლეგების გუნება-განწყობილებას.

ბევრი ამას ვერ იგებს და ეჩვენებათ, რომ ვალიკო წნევას აპარატითა და წამლებით კი არა, ღვინითა და არყით არეგულირებს. ალბათ, ამიტომაც მოუმრავლდნენ სამსახურში პაციენტები, რომლებიც მასთან ერთად იზომავენ წნევას და მერე მათრობელა სასმელებით მკურნალობენ.

თუმცა, ჰყავს ურჩებიც, მაგალითად, ბენიტო, რომელსაც ვალიკოს მიერ დადგენილი ნორმები ფეხებზე ჰკიდია, უკონტროლოდ ყლურწავს და ზოგჯერ მღერის კიდეც, რაც სამსახურის თავკაცთა გაუნელებელ უკმაყოფილებას იწვევს. ეურჩება ვალერაც, რომელსაც საბაბი აქვს – ღვინო-არაყთან ერთად ლუდსაც სიამოვნებით მიირთმევს, ვალიკომ კი ამ სასმელზე ნორმატივი დღემდე ვერ დაადგინა.

ერთი სიტყვით, პრობლემები შეიქმნა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მიშა ქვეყნიდან გააძევეს და ეკონომიკა დაინგრა, მაგრამ, როგორც ვალიკო აცხადებს, მთავარია, იყოს მოწადინება და ყველაფერს ეშველება. მკურნალი ამჟამად მუშაობს წნევის აპარატის თანამედროვე სტანდარტის შექმნაზე, რომელსაც „ჰიპერტონიკები“ და „ალკოჰოლიკები“ თანაბარი ეფექტურობით გამოიყენებენ.

ოტია ჩართოლანი

ინფორმაცია

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი დაინტერესებულ მხარეთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ 2014 წლის 15 ნოემბერს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში 10:00 საათზე, სოფელ მოლითის საჯარო სკოლის შენობაში 14:00 საათზე და სოფ. ჩუმათელეთში თამარ მეფის 100 ნომერში მდებარე შენობაში 17:00 საათზე გაიმართება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის მონაკვეთის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ეტაპზე მომზადებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

საჯარო შეხვედრაზე დასწრება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს. დამატებითი კითხვების შემთხვევაში მიმართეთ ქალბატონ ირინა კვეტენაძეს.

მობილური: 599 53 59 95 ელ-ფოსტა: irina_bt@caucasus.net

Information

On November 15, 2014 will be Public consultation meetings on environmental impact assessment for the rehabilitation of Dzirula-Kharagauli-Moliti-Pona-Chumateleti Road – Km 0.0 to Km 50.0 road section in the following locations:

1. Khashuri Municipality building at 10:00 a.m.
2. Molity School building at 14:00 p.m.
3. Village Chumateleti, Building in Tamar Mepe str. #100 at 17:00 p.m.

All interested persons may attend the meeting. For additional information, please contact Mrs. Irina Kvetenadze, mobile: 599 53 59 95, e-mail: irina_bt@caucasus.net

◎ ინფორმაცია

დააკავეს „თბილგვირაბმშენის“ დირექტორის მოადგილე

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, ქრთამის აღების ფაქტზე, ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილგვირაბმშენის„ დირექტორის მოადგილე მალხაზ შარიქაძე დააკავა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შემდეგ, ერთ-ერთი კომპანიის წარმომადგენელს, აუქციონში პრივილეგიის მინიჭების და შემდგომში გამარჯვების სანაცვლოდ, ქრთამის სახით, 1000 ლარი გამოართვა.

როგორც საგამოძიებო სამსახურში აცხადებენ, კორუფციული გარიგების ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენდა 800 კვ/მ შენობის ელექტრონულ აუქციონზე განთავსება, როგორც 600 კვ/მ ფართის მქონე, ხოლო სხვაობის, 200 კვ/მ-ის საიჯარო გადასახადს დაკავებული სისტემატურად, არაოფიციალურად კომპანიის წარმომადგენლებს გამოართმევდა.

შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“ აცხადებს ფასთა გამოკითხვას

1. თბოენერგეტიკულ სათადარიგო ნაწილებზე:

უკუსარქველი ვერტიკალური. პარამეტრებით: ДУ-250; $P_{მუშა}$-230კგძ.სმ^2 ;

$T_{მუშა}$-200^{0}C ----- 2 ცალი.

2. КСВ-500-150-1 ტიპის კონდენსატის ტუმბოს კორპუსის ზედა ხუფი---4ცალი

საკონტაქტო პირი: ვიქტორ კრეცი ტელ: 599 881 167

- **წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენაზე, დალუქული კონვერტით.**
- **განფასება წარმოდგენილი უნდა იქნას ლარებში დღგ-ს ჩათვლით.**
- **წინადადება წარმოდგენილ უნდა იქნას 2014 წლის 13 ნოემბრის 17 სთ-მდე.**

ფასთა გამოკითხვის შედეგები ცნობილი იქნება 2014 წლის 14 ნოემბერს.

სკანვორდი



მკურნალი წინდები

ფეხების ტკივილი გაწუხებთ?

თურქეთის ლიცენზირებული ფირმა „POLAT“-ი ფეხების ტკივილისგან თავის დასაღწევად უნიკალური თვისებების მქონე სპეციალურ წინდებს გთავაზობთ.



ყველა ტიპის დიაბეტის, გულის სისხლძარღვთა და კანის სხვადასხვა ინფექციით გამოწვეული ფეხის დაავადებათა მკურნალობისას საგანგებო წინდები შეუცვლელი და უებარი საშუალებაა! ასეთი წინდები მისწრებაა იმათთვის, ვისაც ხანგრძლივი დროით ფეხზე დგომა ან გადაადგილება უწევს, აქვს კოჟრები, სოკოვანი დაავადებები, ოფლიანობა და სპეციფიკური სუნი!

წინდები ჩვეულებრივად ნელ-თბილ წყალში ირეცხება, მიზანშეწონილია მათი მთელი დღე-ღამის განმავლობაში ტარება.

შესაძენად დარეკეთ 299-62-77 (გ. ახვლედიანის 19), იკითხეთ კუკური.

ცინცხალი ანეკდოტები

კლასში ბიოლოგიის გაკვეთილი მიდის. მასწავლებელი ბავშვებს მაიმუნის აგებულებას უხსნის.

მიხო გოგოებს ეღლაბუცება და მასწავლებელს არ უსმენს.

— მიხო, — ყურადღებით დამიგდე ყური და მიყურე, თორემ არანაირი წარმოდგენა არ გექნება მაიმუნზე, — ეუბნება მასწავლებელი.

* * *

— ეს არის საქმე? ხომ დამპირდი, რომ ჩემთვის გამოგზავნილ ფოტოებზე აბსოლუტურად ტიტველი იქნებოდი?

— რაო, მე რომ რენტგენის სურათები გამოგიგზავნე, ტანსაცმელში ვარ გადაღებული?

* * *

ახლა მივხვდი, რაც არის კარგი აკუსტიკური სისტემა! ეს ის არის, როდესაც ქვედასართულელი მეზობლები ამოდიან და გთხოვენ, ტელევიზორს ჩაუწიე, რემონტის გაკეთებაში გვიშლი ხელსო!

* * *

მოხუცი ცოლ-ქმარი საუბრობს.

— უკვე 50 წელიწადია, რაც ერთად ვცხოვრობთ, — ეუბნება ქმარი ცოლს. — მითხარი პატიოსნად, რამდენჯერ მიღალატე ამ დროის მანძილზე? ყველფერს გაპატიებ.

— თუ სიმართლე გინდა, მხოლოდ სამჯერ.

— თუ მხოლოდ სამჯერ, ეს არაფერია. გპატიობ. როდის და რ ო გ ო რ მოხდა ეს?

— გახსოვს, ბინის საყიდლად ფული რომ არ გვყოფნიდა? შენი მეგობრისგან გვინდოდა სესხება. იგი ჯერ არ გვაძლევდა ფულს, მერე კი გვაჩუქა. ეს პირველი შემთხვევა იყო.

როდესაც ავად გახდი, ექიმი თავდაპირველად არ გმკურნალობდა, მერე კი მოგარჩინა. ეს მეორე შემთხვევა იყო.

— მესამე შემთხვევა რომელი იყო?

— რომელი და, როდესაც დეპუტატად ასარჩევად 40 ხმა არ გყოფნიდა, მერე კი გამოჩნდა ის 40 ამომრჩეველი, ვინც მოგცა ხმა...

კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24